

# 1927 წლიდან თბილისის უნივერსიტეტი

26 მაისი, 2025



№ 3 [2257]



**ადმინისტრაციის ახალი გადაწყვეტილება**  
თსუ-ში ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროექტი დაიწყო

3 გვ.

**გამოცა დიმიტრი შველიძის მონოგრაფია – „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“**

4 გვ.



**ნიკ სიარგის თვალთ დანახული ქართულ-ესტონური ურთიერთობები**

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტი

10 გვ.



**26 მაისისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში თსუ სპეციალური სტენდით ზუგდიდში წარსდგა**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში სპეციალური სტენდით ზუგდიდში წარსდგა. დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ზუგდიდის ცენტრში მოსულ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ჩართულიყო შემდეგ ღონისძიებებში.

2 გვ.

**NASA-ს ჰაკათონის საქართველოს მასშტაბით გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ**

7 გვ.



**თსუ-ს ბიბლიოთეკაში უსინათლო და მცირედმხედველი სტუდენტებისთვის სივრცე მოეწყო**

7 გვ.



**სტუდენტური ფურცელი**

5-12 გვ.



**პროექტზე – „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“ – მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს**

14 გვ.



**უნივერსიტეტის ოქროს მედალი ილია თავხელიძეს გადაეცა**

უნივერსიტეტელი წინაპრების ისტორია

15 გვ.



**ჰუმანიტარების კონფერენცია თსუ-ში**

„დიდი სამამულო 1941-1945 წ.წ. /მეორე მსოფლიო ომი და ქართული მწერლობა“ – ამ სახელწოდებით გაიმართა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია.

13 გვ.



ქრონიკა



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემას მოამზადებს.

\*\*\*

თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ რენის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ვიცე-რექტორთან დიდი მინერთან ერთად ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.



„რენის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი მზად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ითანამშრომლოს სხვადასხვა მიმართულებით. ამ შეთანხმებით ხელს შეუწყობს სტუდენტების მობილობას და თანამშრომლობის შემდგომ ეტაპზე მზად ვართ – ახალი ერთობლივი პროექტები განვახორციელოთ თსუ-ს წარმომადგენლებთან“.

\*\*\*

თსუ-ს 7 ფაკულტეტისა და 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებშია წარმოდგენილი. სამეცნიერო ჟურნალების – „ფაზისი“ „სპეკალი“, „ჭუმანიტარული კვლევები, ნელინდული“, „სამართლის ჟურნალი“, „საჯარო სამართლის ჟურნალი“, „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“, „ეკონომიკა და ბიზნესი“ და სხვა – ERIH PLUS, Scopus, EBSCO, ISSN, Google Copernicus და სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირება მნიშვნელოვნად ზრდის ქართველი მეცნიერების შრომების ხელმისაწვდომობასა და ხელს უწყობს თსუ-ში



წარმოებული კვლევების პოპულარიზაციას. აღნიშნული წარმატება უნივერსიტეტელი მკვლევრების ერთობლივი და ხანგრძლივი შრომის შედეგია. თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას თქმით, თსუ-ს საერთაშორისოდ აღიარებული სამეცნიერო ჟურნალები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ კვლევების მნიშვნელობას, რომლებიც თსუ-ში წარმოებს.

\*\*\*

უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის გამოყენებისა და შესაძლებლობების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები დაიწყო. შეხვედრის მონაწილეებს თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ მიმართა.



„ჩვენი მიზანია, თსუ-ს თითოეულმა თანამშრომელმა შეძლოს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობების გამოყენება, რათა გავაუმჯობესოთ უნივერსიტეტის მართვის პროცესები, სასწავლო გარემო და სამეცნიერო კვლევები. ჩვენი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის გადაზიდვა ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გვეხმარება – გავხადოთ ჩვენი მუშაობა უფრო ეფექტიანი და ინოვაციური“.

ტრენინგები მიზნად ისახავს უნივერსიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიის პრაქტიკული გამოყენებისა და ეთიკური ასპექტების შესახებ. შეხვედრების ფარგლებში თანამშრომლები ეცნობიან ხელოვნური ინტელექტის (AI) თანამედროვე ინსტრუმენტებს, ასევე, პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს სასწავლო, კვლევით და ადმინისტრაციულ საქმიანობაში. თანამშრომლებისთვის ტრენინგები თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ტარდება.

\*\*\*

ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 11 ევროპული ქვეყნის 37 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 50-ზე მეტი წარმომადგენელი ეწვია. თსუ-ს რექტორის მოადგილის, პროფესორ ერეკლე ასტახიშვილის თქმით, ინტერნაციონალიზაცია თბილისის სა-



ხელმწიფო უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. პერსონალის საერთაშორისო კვირული, რომელიც უკვე ტრადიციულად იმართება თსუ-ში, საერთაშორისო საუნივერსიტეტო თანამშრომლობის განვითარების კარგი საშუალებაა.

„ლილის უნივერსიტეტი თსუ-სთან დიდი ხანია თანამშრომლობს. ყოველწლიურად იზრდება იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც მობილობით ჩამოდიან ლილის უნივერსიტეტში თსუ-დან და პირიქით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე და ვიმედოვნებ, ამ ღონისძიების შედეგად, ჩვენს უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება“.

– განაცხადა ლილის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) საერთაშორისო ურთიერთობის ოფისის ხელმძღვანელმა ვერონიკა ლეველმა. უნივერსიტეტში პერსონალის საერთაშორისო კვირული, თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორგანიზებით, 2017 წლიდან იმართება.

\*\*\*

სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისთვისა და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაციის მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გასული სამი წლის განმავლობაში 500-მდე სახელმძღვანელო, ლექსიკონი, მონოგრაფია, ატლასი და სხვა წიგნი გამოსცა. თსუ გამომცემლობის ინფორმაციით, სახელმძღვანელოები ფაკულტეტების მოთხოვნის შესაბამისად შეიქმნა.

„უნივერსიტეტში სასწავლო-სამეცნიერო პროცესის უკეთ წარმართვისთვის დავიწყეთ ახალი სახელმძღვანელოების გამოცემა და არსებულის გადამუშავება. ფაკულტეტებთან მუშაობაში გამოვლინდა – თუ რომელი სახელმძღვანელოების გამოცემა მიზანშეწონილია. ამასთან, ბექდურთან ერთად, მზადდება ელექტრონული გამოცემებიც, რომელიც თსუ-ს გამომცემლობის ვებ-გვერდზე იტვირთება“.



\*\*\*

თსუ, საქართველოს ფოსტა და გაერთიანებული საფოსტო კავშირი კიტა ჩხენკელის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემას მოამზადებს. პროექტის განხორციელების მიზნით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ საქართველოს ფოსტის გენერალურ დირექტორთან ლევან ჩიკვაძესთან და გაერთიანებული საფოსტო კავშირის გამგეობის თავმჯდომარესთან ნუცა სულაძესთან ერთად თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი.

„საქართველოს ფოსტის მხარდაჭერით, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი არაერთი პუბლიკაცია მოვამზადეთ, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა; პირველი სტუდენტის – მედეა ლამბაშიძის შესახებ სამეცნიერო წიგნი-ალბომი. ჩვენ ვაფასებთ ამ თანამშრომლობას და დარწმუნებული ვარ, ეს პროექტიც ძალიან წარმატებული იქნება“.

ბული იქნება“, – განაცხადა რექტორმა ჯაბა სამუშიამ.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის ადამიანის უფლებათა ცენტრის ორგანიზებით ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მელინ არაკელიანი ეწვია.

ნიდერლანდების ელჩმა სტუდენტებს წაუკითხა საჯარო ლექცია – „ადამიანის უფლებების ხელშეწყობა, როგორც ნიდერლანდების საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი“, გააცნო ნიდერლანდების საკანონმდებლო ჩარჩო ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებების მნიშვნელობაზე ნიდერლანდების სამეფოს საგარეო პოლიტიკაში. დამსწრე აუდიტორიას მიესალმნენ პროფესორი ირინე ჟურდაძე და პროფესორი კონსტანტინე კორკელია.



საჯარო ლექციაზე ნიდერლანდების ელჩმა მელინ არაკელიანმა, ასევე, ისაუბრა საკუთარ პროფესიულ გამოცდილებაზე და, ზოგადად, დიპლომატიურ საქმიანობაზე, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა ლექციის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. შეხვედრა მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს ელჩს უმასპინძლეს თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის, ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ჟან მონეს ბრწყინვალეების ცენტრის აკადემიურმა პერსონალმა, რომლის დროსაც გააცნეს ინსტიტუტის და ცენტრების საქმიანობა და აქტივობები.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში სპეციალური სტენდით ზუგდიდში წარსდგა.

დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად ზუგდიდის ცენტრში მოსულ საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ჩართულიყო:

- შემცენებთ-გასართობ ცდებში ქიმიასა და ბიოლოგიაში;
- იმიტირებულ არქეოლოგიურ გათხრებში სპეციალურად მოწყობილ ქვიშის მოედანზე აღმოეჩინა დამალული არქეოლოგიური არტეფაქტები, დაეთვალა ირინე სტუდენტური ექსპედიციების დროს აღმოჩენილი მასალები;
- ჩართულიყო ხელოვნური ინტელექტის (AI) კუთხის აქტივობებში;
- მონაწილეობა მიიღო კიბერსპორტის ჩემპიონატში;
- VR სათვალთ დაეთვალა ირინე ვირტუალური თსუ;
- გამოეცადა საკუთარი თავი შემეცნებით თამაშში City Game გეოგრაფიისა და ისტორიის თემატიკაზე;
- ტელესკოპით დაეთვალა ირინე ციური სხეულები და გაცნობოდა საინტერესო ფაქტებს ჩვენს გალაქტიკასა და, ზოგადად, კოსმოსზე.

მოამზადა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა



# თსუ-ში ახალი სახელმძღვანელოების შექმნის პროექტი დაიწყო

თსუ-ს რექტორის, აკადემიკოს ჯაბა სამუშიას ინიციატივით და უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს შერჩევით, მიმდინარე წელს ახალი სახელმძღვანელოები შეიქმნება, მათ შორის, უცხოური თარგმანები. ახალი სახელმძღვანელოების შესაქმნელად თსუ-ს ბიუჯეტიდან 350 ათასი ლარი გამოიყო.

გამოსაცემი სახელმძღვანელოები შესაბამის ფაკულტეტებზე კონკურსის გზით შეირჩევა, თითოეული ფაკულტეტისთვის, სახელმძღვანელოების გამოცემად, 50 ათასი ლარია გათვალისწინებული.

იურიდიულ ფაკულტეტზე, მიმდინარე წელს, 6 სახელმძღვანელო გამოიცემა. მათ შორის: „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“, „ქართული ჩვეულებითი (ხალხური) სამართალი“, „შესავალი სამოქალაქო სამართალში“, „სამართლის-მცოდნეობის შესავალი“, „საქართველოს სისხლის საპროცესო სამართალი. კერძო ნაწილი“.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი 4 სახელმძღვანელოს (მათ შორის 2 თარგმანი) გამოსცემს: „განათლების ფსიქოლოგია“, „ქცევის და ემოციური აშლილობები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში“, „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“ და „არავერბალური კომუნიკაცია“. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულ-



ტეტი 6 სახელმძღვანელოს გამოსცემს, რომელთა შორისაა თარგმანი და განახლებული სახელმძღვანელოები: „შიდა აუდიტი“, „სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის: ნაწილი I“, სახელმძღვანელო საგნისთვის – „ეკონომიკური პოლიტიკა“ 1, 2, „ეკონომიკური პოლიტიკა“ II; (მაგისტრატურის საფეხურისთვის), „ეკოლოგიური და ბუნებრივი რესურსების ეკონომიკა“, „მიკროეკონომიკა“.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი გამოსცემს 4 სახელმძღვანელოს, მათ შორის: „პოლიტიკური იდეოლოგიები საქართველოში“, „სოციოლოგიის შესავალი“ (ნაწილი პირველი), „შესავალი სოციალურ მუშაობაში“, „მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების საზოგადოებრივი გეოგრაფია“ (ნაწილი პირველი), „ნატო – ცივი ომიდან უკრაინამდე, მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ალიანსის ისტორია.“

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გამოსცემს 7 სახელმძღვანელოს. მიმდინარე წელს ფაკულტეტმა დასაბუქდად შეარჩია: „ენათმეცნიერების შესავალი“, „რუსთველი და რუსთველოლოგია“, „საქართველოს ახალი ისტორია (1801-1917)“, „ახალი და უახლესი თურქული ლიტერატურის სახელმძღვანელო“, „ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის შესავალი“, „სახვითი ხელოვნების პრაქტიკული სწავლება – ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია“, „კანთაროსი – ძველი ბერძნული ენა სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის“.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს განწყვეტილებით შეიქმნება ახალი სახელმძღვანელო „ბიოლოგიის შესავალი“.

მედიცინის ფაკულტეტი 3 სახელმძღვანელოს გამოსცემს: „პედიატრიული სტომატოლოგია: ჩვილობიდან ზრდასრულობამდე“, „თანამედროვე მოუხსნელი პროტეზირება“, „ზოგადი ქირურგია“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ყოველ წელს გამოცხადდება შესაბამისი კონკურსი. ყველა სახელმძღვანელოს კი ახალი სასწავლო წლისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა გამოსცემს. წიგნები თსუ-ს სტამბაში დაიბეჭდება.

## ვარძის სამონასტრო კომპლექსში ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-16 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ვარძის სამონასტრო კომპლექსში ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-16 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციაში მონაწილეობა თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ თამარ ღვამიჩავამ და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა მიიღეს.

„ვარძის საერთაშორისო კონფერენცია უნიკალური პლატფორმაა, სადაც ახალგაზრდა არქეოლოგები ეცნობიან უახლეს სამეცნიერო მიღწევებს და ავითარებენ საკუთარ კვლევით უნარებს. ამ ფორმატის ღონისძიებები განსაზღვრავს სტუდენტების არა მხოლოდ ინდივიდუალურ განვითარებას, არამედ მთლიანად ქვეყნის სამეცნიერო სივრცის ინტეგრაციას გლობალურ სამეცნიერო წრეებში. ვამაყობთ, რომ თსუ არის ამ ტრადიციის წარმართველი და აქტიური მონაწილე“, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა.

ვარძის კონფერენციის სამეცნიერო მნიშვნელობას განსაზღვრავს უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების, სიახლეების, შედეგებისა და მეთოდოლოგიის გაცნობა-გაზიარება. კონფერენცია ქართველ სტუდენტ არქეოლოგებს საშუალებას აძლევს – მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, გაეცნონ სხვა ქვეყნის წარმომადგენლების კვლევებს. გარდა ამისა, კონფერენციის დაარსების პირველივე წლიდან სამუშაო ენა



ინგლისურია, რაც განსაზღვრავს ქართველი სტუდენტების მზაობას საერთაშორისო სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

ვარძის კონფერენციაზე მოხსენებებს წარადგენენ სტუდენტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსი-



ტეტებიდან, რომელთა შერჩევაც ხდება წინასწარ წარდგენილი თეზისების აქტუალობისა და ხარისხის მიხედვით. მოხსენებებს შეაფასებენ მუდმივი სამეცნიერო კომისიის წევრები – ქართველი და უცხოელი პროფესორები.

თსუ-ს სტუდენტებთან და პროფესო-



ვანტანგ ლირელი

ვარძის კონფერენციის სამეცნიერო მნიშვნელობას განსაზღვრავს უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენების, სიახლეების, შედეგებისა და მეთოდოლოგიის გაცნობა-გაზიარება. კონფერენცია ქართველ სტუდენტ არქეოლოგებს საშუალებას აძლევს – მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, გაეცნონ სხვა ქვეყნის წარმომადგენლების კვლევებს.

რებთან ერთად კონფერენციაში ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ნოტინგემის, ინსბრუკის, ედინბურგის უნივერსიტეტების, ოქსფორდის უნივერსიტეტის იესოს კოლეჯის, ნიკოლაუს კოპერნიკუსის სახელობის ტორუნის უნივერსიტეტის, ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტის, ათენის ნაციონალური კაპოდისტრის უნივერსიტეტის, თეირანის უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალგაზრდა არქეოლოგები და მეცნიერები მონაწილეობენ.



# გამოიკა დიმიტრი შველიძის მონოგრაფია – „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“

მაია ტორაძე

ცოტა ხნის წინ გამოვიდა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის დიმიტრი შველიძის მონოგრაფია „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია (წარმოქმნიდან ლიკვიდაციამდე (1895-1923))“.

მონოგრაფია დასრულებული ფორმა ნაშრომთა სერიისა, რომელიც ფედერალისტური პარტიის საქმიანობის სხვადასხვა ეპიზოდს მოიცავს (სერიის რედაქტორია მაია ლაბაძე; რედაქტორი – ერეკლე ასტახიშვილი).

მონოგრაფიის პირველი ნაკვეთი ეყრდნობა 1993 წელს გამოცემულ ნაშრომს, რომელშიც გაანალიზებული იყო პარტიის საქმიანობა 1895-1907 წლებში. ახლანდელ გამოცემაში მოცემულია ამ ნაშრომის განახლებული და დამატებითი ინფორმაციით გამდიდრებული ვერსია. მეორე ნაკვეთის საფუძველია ავტორის სადოქტორო დისერტაცია (1998). მასში შესწავლილი იყო ფედერალისტური პარტიის საქმიანობა ე.წ. რევოლუციის ლიკვიდაციის პერიოდში (1907-1910), ასევე პარტიის ისტორიის საკითხები 1910-1914 წლებში, პარტიის მთავარი იდეოლოგიების ნააზრევი, არჩილ ჯორჯაძის, გრიგოლ რცხილადის, თევდორე ლლონტის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, კიტა აბაშიძისა და სხვათა პუბლიკაციები.

მონოგრაფიის მესამე ნაკვეთი მოიცავს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის ისტორიის დამამთავრებელ პერიოდს – 1917 წლიდან 1923 წლამდე (როცა პარტიის ლიკვიდაცია მოხდა). გამოცემაში თავმოყრილია დამატებითი მასალა,



„**მონოგრაფია დასრულებული ფორმა ნაშრომთა სერიისა, რომელიც ფედერალისტური პარტიის საქმიანობის სხვადასხვა ეპიზოდს მოიცავს.**“

რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში შეგროვდა.

პროფესორი დიმიტრი შველიძე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ მონოგრაფიის გამოცემის იდეასა და მნიშვნელობაზე ესაუბრა:

– ღიმილისმომგვრელიც კი შეიძლება იყოს, მაგრამ ფაქტია – ამ პარტიის შესახებ მუშაობა სტუდენტობის წლებში დაიწყო. მაშინ, 1972 წელს, ბოლშევიკების გარდა სხვა პარტიებზე წერა თითქმის არ შეიძლებოდა. ამისთვის არ გადაგასახლებდნენ, მაგრამ არც დაგიბეჭდავენ. იმიტომ იყო, რომ 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე მხოლოდ 2-3 სტატია მქონდა გამოქვეყნებული.

სოციალისტ-ფედერალისტების ისტორიას იმან უშველა, რომ საქართველოს ისტორიის კათედრა ეროვნულად განწყობილი პროფესურისაგან შედგებოდა. ამ კათედრამ დამიმტკიცა სადისერტაციო თემა. ახლაც ხელთა მაქვს ოქმი სხდომისა, რომელმაც სოციალისტ-ფედერალისტების სადისერტაციო თემის დაცვის უფლება დაამტკიცა და რომელსაც ესწრებოდნენ: მარიამ ლორთქიფანიძე, ნათელა ვაჩნაძე, აბელ კიკვიძე, როინ მეტრეველი, ვახტანგ ჯანჯღავა, ნუკრი შოშიაშვილი და სხვანი.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. პრესაში გამოქვეყნდა ჩემი სტატიების სერიები 1900-იანი წლების ყველა პოლიტიკური პარტიის შესახებ, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია მკითხველსაზოგადოებაში. თემა გახდა უაღრესად პოპულარული. ამ წერილებითა და მონოგრაფიით დაინტერესებამ შესაძლებელი გახადა, რომ ჩვენს უნივერსიტეტში პირველად გაჩნდა ახალი სასწავლო საგანი: „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია“. ეს საგანი ახლაც იკითხება ჩვენი ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის მიმართულების მაგისტრატურაში.

რატომ დაინტერესდი ფედერალისტური პარტიის საქმიანობით? ეს იყო პირველი ეროვნული მიმართულების პოლიტიკური პარტია საქართველოში. მის რიგებში ქართული მეცნიერებისა და კულტურის მრავალი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო გაერთიანებული: კიტა აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, შალვა ნუცუბიძე, გერონტი ქიქოძე, ქრისტეფორე რაჭველიშვილი, მათ შორის ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი

1926-1928 წლებში თედო ლლონტი და მრავალი სხვა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ბოლშევიკები ჭკვიანი დამპყრობლები იყვნენ. მათ იცოდნენ, რომ, თუ გინდა დაპყრობილი ხალხი დათრგუნო, პირველ რიგში საკუთარი ისტორია უნდა დააიწყო. 80-იან წლებშიც კი ქართული საზოგადოების აბსოლუტურმა უმრავლესობამ თითქმის აღარაფერი იცოდა ისეთი დიდი ქართველი მოღვაწეების შესახებ, რომელთა სახელები ახლა საყოველთაოდ ცნობილია: არჩილ ჯორჯაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გიორგი ლასხიშვილი და სხვანი. სოციალისტ-ფედერალისტებმა დიდი როლი შეასრულეს ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ფორმირებაში. მათი დამსახურება დიდი იყო აგრეთვე იმაშიც, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები, ბოლოს და ბოლოს, ეროვნულ ნიადაგზე დადგნენ. ყოველივე ამის შედეგი კი იყო საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ პარტიის მთავარ დამსახურებად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფედერალისტები მუდამ პარტიათა ურთიერთთანამშრომლობის ნიადაგზე იდგნენ და სხვებსაც ამას უქადაგებდნენ.

მონოგრაფია – „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია“ – დაინტერესებს როგორც მკითხველ საზოგადოებას, ასევე პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულ ადამიანებს. მასში ამოიკითხავთ ერთი პარტიის გამოცდილებას – დაწყებულს მისი წარმოქმნით, მიზნებით, პროპაგანდის საშუალებებითა და ბრძოლის მეთოდებით, დასრულებულს სხვა პარტიებთან დამოკიდებულებითა და ლიკვიდაციის მიზეზებით.

# ქრისტიანული არაბული ლიტერატურა – საგანი, რომელიც მხოლოდ თსუ-ში ისწავლება

ნინო ჩარკვიანი

დწელიად მოიძებნება კულტურათაშორისი დიალოგის ისეთი მდიდარი მაგალითი, როგორც ქრისტიანული არაბული ლიტერატურა. სწორედ ამ საგანს ასწავლის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასოცირებული პროფესორი მარიამ ნანობაშვილი – ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან სპეციალისტთაგანი, ვინც საქართველოს აკადემიურ სივრცეში ამ დარგს სიცოცხლეს უნარჩუნებს.

საგანი – ქრისტიანული არაბული ლიტერატურა, რომელიც დღეს მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისწავლება, ჯერ კიდევ 1998 წელს დაინერგა არაბისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე პროფესორ აპოლონ სილაგაძის მხარდაჭერით, ხოლო იდეა საგნის შესახებ პროფესორ მარიამ ნანობაშვილს 90-იან წლებში დისერტაციაზე მუშაობისას გაუჩნდა. იგი პატივისცემით იხსენებს პროფესორ ზაზა ალექსიძეს, რომელმაც 1995 წელს ასპირანტურის გავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში შესთავაზა, აგრეთვე თავის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფილოლოგიის დოქტორ რუსუდან გვარამიას.

„ქრისტიანული არაბული ლიტერატურის შესწავლა სტუდენტებს საშუალებ-

ას აძლევს – კომპლექსურად გაიაზრონ არაბული კულტურა, რომლის შექმნაშიც სხვადასხვა ეპოქაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც მუსლიმები, ასევე არაბულენოვანი ქრისტიანები და ებრაელები. ყოველივე ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების სრულყოფილად შესაცნობად, არამედ თვით დღევანდელი მოვლენების ობიექტურად შესაფასებლად“, – განმარტავს პროფესორი მარიამ ნანობაშვილი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში.

ალსანიშნავია, რომ ქრისტიანული არაბული ლიტერატურა მე-8 საუკუნეში აღმოცენდა, ვინაიდან ამ დროისათვის არაბთა სახალიფოს ქრისტიანული მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის არაბული ენა გახდა მშობლიური. ეს ლიტერატურა აერთიანებს როგორც ბერძნულიდან, სირიულიდან და კოპტურიდან ნათარგმნ ძეგლებს, ასევე ორიგინალურ თხზულებებს, რომლებიც საეკლესიო მწერლობის ყველა დარგს მოიცავს. მოგვიანებით, მე-16 საუკუნიდან, ამას დაემატა ლათინურიდან, იტალიურიდან და ფრანგულიდან შესრულებული თარგმანები.

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ არაბულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებსაც. მარიამ ნანობაშვილი გვიყვება: „უკვე მე-8 საუკუნიდან ქარ-

თველ მნიგნობებს კეთილი ურთიერთობები ჰქონდათ ქრისტიან არაბებთან (უმთავრესად იერუსალიმის მახლობლად) საბანძინდის ლავრასა და წმინდა ეკატერინეს მონასტერში, სინაზე. ამას ნათლად მოწმობს არაბულიდან ქართულად ნათარგმნი თხზულებები (ძირითადად ჰაგიოგრაფიის სფეროში), ქართულ ხელნაწერებზე გაკეთებული არაბული პაგინაცია და მინაწერები, ნიკო მარის მიერ აღმოჩენილი არაბული ანბანი ქართული კომენტარებით, რაც აშკარად გვიჩვენებს, რომ ქართველი ბერები არაბულ ენას ეუფლებოდნენ“. პროფესორის თქმით, ამ საკითხებზე ჯერ კიდევ ბაკალავრიატის საფეხურზეა გამახვილებული ყურადღება არაბულ-ქართული ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების კურსის ფარგლებში.

მკვლევართა ინტერესს იწვევს ქრისტიანული არაბული ლიტერატურა, როგორც რელიგიათა და კულტურათა დიალოგის ძალიან საინტერესო მაგალითი. ამასთან დაკავშირებით პროფესორი მარიამ ნანობაშვილი აღნიშნავს: „ქრისტიანი არაბები, ხშირ შემთხვევაში, გამორჩეული ინტელექტუალები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ერთიანი არაბული სამოქალაქო კულტურის შექმნაში. ისინი თავისუფლად ფლობდნენ ბერძნულ, სირიულ და სხვა ენებს. ქრისტიანული არაბული ლიტერატურა უდავოდ



მარიამ ნანობაშვილი

„**იდეა საგნის შესახებ პროფესორ მარიამ ნანობაშვილს 90-იან წლებში დისერტაციაზე მუშაობისას გაუჩნდა.**“

გამორჩეულია დოგმატურ-პოლემიკურ დარგში. ქრისტიანი არაბი ავტორები კარგად იცნობდნენ ისლამს, შეეძლოთ ყურანისა და მასთან დაკავშირებული რელიგიური ლიტერატურის ნაკითხვა. ასეთი ცნობილი ავტორი იყო თეოდორე აბუ კურა (მე-8/მე-9 სს.), რომელიც იოანე დამასკელის ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად მიჩნეული.“ სამეცნიერო კვლევები ამ მიმართულებით გრძელდება. როგორც სასწავლო კურსის ავტორი ამბობს, თანამშრომლობენ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის საგანმანათლებლო ცენტრებთან, რამდენიმე დოქტორანტი კი ამ დარგში სპეციალიზდება და ამზადებს დისერტაციას.



1927 წლიდან

# თბილისის უნივერსიტეტი



## სტუდენტური ფურცელი



**5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მონვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება**

საარჩევნო კომისიის შემადგენლობა დამტკიცებულია

6 გვ.

**თსუ-ს სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტების ორკვირიანი ვიზიტი ბოსტონის ტაფტის უნივერსიტეტში წარმატებით დასრულდა**

8 გვ.

სტუდენტური წარმატება

**თსუ-ს სტუდენტებმა ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლოს კონკურსში გაიმარჯვეს**

9 გვ.



# სტუდენტური ამბების ქრონიკა



5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IX მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობა შეუძლია თსუ-ს ყველა საფეხურის სტუდენტს. განისაზღვრა სტუდენტური თვითმმართველობის 2025 წლის ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**გიორგი ოქიტაშვილი** – წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სამდივნოს უფროსი;

**მერი კაპანაძე** – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი;

**ზურა გოგელიძე** – სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსი;

**აკაკი მიქაბერიძე** – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯერი საფინანსო ეკონომიკურ საკითხებში;

**პავლიკა ჯაგუნავა** – თსუ-ს ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრის ხელმძღვანელი;

**მირანდა მიქაძე** – მედიცინის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;

**ვალერი არღუთაშვილი** – ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

**თემური ცაგარეიშვილი** – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების დოქტორანტი, მონვეული ლექტორი.

**მიხეილ ჭილაძე** – ა(ა)იპ „ინსტიტუციური განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაილს ბრაიანტის წიგნის – „დისერტაციის პორტაბელური მრჩეველი“ – ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა.



წიგნი გახლავთ ერთგვარი გზამკვლევი იმ მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, რომლებსაც გადანყვებითი აქვთ აკადემიური საქმიანობის გაგრძელება, მუშაობენ დისერტაციაზე და, საუნივერსიტეტო კამპუსებში მყოფი სტუდენტებისგან განსხვავებით, სრულად არ მიუწვდებიან ხელი სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად საჭირო ყველა ინფორმაციასა და მზა მასალებზე, – განმარტავს წიგნის ქართული თარგმანის ავტორი ნინო შარვაშიძე.

მაილს ბრაიანტის წიგნის – „დისერტაციის პორტაბელური მრჩეველი“ – ქართული თარგმანი იმდენად ძალდაუტანებლად იკითხება, როგორც თავად ორიგინალი წიგნი, – აღნიშნა წიგნის რეცენზენტმა, თსუ-ს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტის ასოცირებულმა პროფესორმა იზაბელა პეტრიაშვილმა.

წიგნის 7 თავი თანმიმდევრულად აღწერს დისერტაციაზე მუშაობის ყველა ეტაპს. წიგნის პირველი თავი – „დისერტაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები“ – ეხება კვლევის საგნის/თემის შერჩევასა და იმ ჩარჩო-გეგმის ჩამოყალიბებას, რომლის შიგნითაც მოუწევთ მუშაობა კვლევის წარმოებისას. მეორე თავი ეძღვნება კვლევითი პროექტის გეგმის, პროსპექტუსის ჩამოყალიბებას. მესამე თავი მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას და ინფორმაციას სამეცნიერო კვლევების ბიბლიოთეკის გამოყენების შესახებ. მეოთხე თავი გვიზიარებს კვლევის მეთოდებთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს და გამოკვეთს პრობლემებს, რომელთაც დოქტორანტები აწყდებიან კვლევის მეთოდის ჩამოყალიბების დროს და რომლებიც საშუალებას მისცემს მათ – პასუხი გასცენ კვლევის კითხვებს. მეხუთე და მეექვსე თავებში ავტორი განიხილავს შეგროვილი მონაცემების აღწერასთან და მიღებული შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბოლო თავში განხილულია დისერტაციის ავტორეფერატის დანერგვასთან, სადისერტაციო კომისიებთან და სწავლის დამთავრებასთან დაკავშირებული საკითხები. დანართებში წარმოდგენილია ა) დისერტაციის ავტორეფერატის შეფასების ფორმა და ბ) იმ აქტივობების სია, რომელსაც ავტორი სთავაზობს დისერტაციის მხარდამჭერთა ჯგუფს. წიგნი ითარგმნა და გამოიცა თსუ-სა და აშშ-ს საელჩოს თანადაფინანსებით.

\*\*\*

ბაჰრეინის ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ცხადდება კონკურსი – „მეფე ჰამადის ჯილდო ახალგაზრდების გაძლიერებისთვის“. „ახალგაზრდების გაძლიერების მეფე ჰამადის ჯილდო“ არის გლობალური ინიციატივა, რომელიც ბაჰრეინის სამეფომ წამოიწყო, რათა აღიაროს და აღნიშნოს ახალგაზრდებისა და ინსტიტუტების დადებითი წვლილი, რომლებიც მხარს უჭერენ ახალგაზრდების მონაწილეობას მდგრად განვითარებაში. ჯილდო ასახავს მისი უდიდებულესობა მეფე ჰამადის რწმენას ახალგაზრდების ტრანსფორმაციული ძალის მიმართ – ჩამოყალიბონ უკეთესი, უფრო მდგრადი სამყარო, რომელიც შეესაბამება მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგს.

გაეროს განვითარების პროგრამასთან პარტნიორობით, ჯილდო ხაზს უსვამს ახალგაზრდების გაძლიერებას, ინოვაციას და გლობალურ თანამშრომლობას მდგრადი განვითარების 5 „P“-ის ფარგლებში – ადამიანები, პლანეტა, კეთილდღეობა, მშვიდობა და პარტნიორობა. მისი მისიაა ახალგაზრდების შთაგონება, ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობი ფაქტორების მხარდაჭერა და მთავრობებისა და საზოგადოებების მოტივაცია, ინვესტიცია ჩადონ ახალგაზრდა ცვლილებების შემქმნელებში (change makers) უფრო სამართლიანი, ინკლუზიური და აყვავებული მომავლისთვის.

შესარჩევი კრიტერიუმები: აპლიკანტი უნდა იყოს 18-დან 35 წლამდე. განაცხადი უნდა იყოს შევსებული ინგლისურ ენაზე. აპლიკანტებმა უნდა აირჩიონ ერთ-ერთი პროგრამა: Youth Action ან Youth Enablers. Youth Action კატეგორიაში გამარჯვებული მიიღებს ჯილდოს 20,000 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო Youth Enablers კატეგორიაში გამარჯვებული მიიღებს ჯილდოს 25,000 აშშ დოლარის ოდენობით. გამარჯვე-

ბულები მიიღებენ თასსა და სერტიფიკატებს და ჩაერთვებიან UNDP-თან დაკავშირებულ ღონისძიებებში. დაჯილდოების ცერემონიაზე დასწრებისთვის მგზავრობისა და განთავსების ხარჯები უზრუნველყოფილია. აპლიკაციის შევსება უფასოა.

\*\*\*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის განათლების დეპარტამენტის ორგანიზებით ახალი სტუდენტური ინტელექტუალური ჩემპიონატის – „ბრწყინვალე გონება“ – შესარჩევი ტური ჩატარდა.

შესარჩევი ტურის შედეგად გამოვლინდა 10 გამორჩეული გუნდი, რომლებიც ერთმანეთს მეორე ეტაპზე შეეჯიბრებიან.



\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ სკოლის მოსწავლეებისთვის თამარის ეპოქაზე საჯარო ლექცია წაიკითხა.

ღონისძიება თამარ მეფის ხსენების დღესთან დაკავშირებით 133-ე საჯარო სკოლის ორგანიზებით გაიმართა.

თსუ-ს რექტორმა თამარის პერიოდის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მის მიერ გატარებულ რეფორმებზე, გადახილ ომებსა და სამხედრო სტრატეგიებზე ისაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა თამარ მეფის რელიგიურ შემწყნარებლობაზე, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაზე; მისი მმართველობის გავლენაზე მსოფლიო პოლიტიკაზე; ასევე, ისაუბრა თამარის გარდაცვალებასთან და საფლავის საიდუმლოებასთან დაკავშირებით.

საჯარო ლექციის დასასრულს ჯაბა სამუშიამ სკოლის მოსწავლეების შეკითხვებს უპასუხა. რექტორმა მოსწავლეებს, ასევე, გააცნო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია, ინფორმაცია მიანოდა სასწავლო პროგრამებზე, სტუდენტურ ცხოვრებასა და საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობებზე.

\*\*\*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა



სამუშიამ სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია გახსნა, რომელზეც რაჭაში სავლელ სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიციის შედეგები იყო წარმოდგენილი.

კვლევა თსუ-ს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა. ექსპედიციის მიზანი რეგიონის ლანდშაფტთა ზაფხულის მდგომარეობათა კვლევა და კარტოგრაფირება იყო.

„თსუ-ს მეცნიერები და სტუდენტები უდიდეს ნაბიჯებს დგამენ კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევისა და კარტოგრაფირების განვითარებისთვის. კარტოგრაფია ძალიან სერიოზული საქმეა და კარგი იქნება დავინახოთ ტოპორუკების შექმნა. ტოპონომიკა სენსიტიური მიმართულებაა, პოლიტიკის დიდი ნაწილია. კომპლექსურად უნდა შეჯერდეს სხვადასხვა უწყებასთან ცოდნა და ერთობლივი პროდუქტი დაიღოს“, – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

პროექტმა გააცოცხლა პროფესორ ნიკო ბერუჩაშვილის მიერ 1979-1991 წლებში წამოწყებული ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის მასშტაბით სტუდენტთა საზაფხულო სავლელ-სასწავლო პრაქტიკების ჩატარებას ლანდშაფტმცოდნეობასა და ლანდშაფტურ კარტოგრაფირებაში.

პროექტის შედეგად ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, რომელიც ეფუძნება სტუდენტთა სავლელ კვლევების დროს მოპოვებულ და კამერალურად დამუშავებულ ემპირიულ მასალებს. კრებული „რაჭის კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევა და კარტოგრაფირება“ მოიცავს სტუდენტთა მიერ შესრულებულ 10 სამეცნიერო სტატიას და ხელმძღვანელთა (მენტორთა) 3 სამეცნიერო-მეთოდურ სტატიას. წარმოდგენილი ნაშრომი დიდი შენაძენია რაჭის შესახებ კომპლექსურ-გეოგრაფიული კვლევისა და კარტოგრაფირების მიმართულებით.



პროექტის მენტორი იყო ასოცირებული პროფესორი, ალექსანდრე ასლანიკაშვილის სახელობის საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ გორდუნიანი; მონვეული მენტორი, სტუ-ის პროფესორი, ალექსანდრე ასლანიკაშვილის სახელობის საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ლაომვილი; სამეცნიერო ხელმძღვანელი, თსუ-ს დოქტორანტი, ალექსანდრე ასლანიკაშვილის სახელობის საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი თედო გორგოძე.

ახლო მომავალში იგეგმება თსუ-ს მიერ დაფინანსებული ანალოგიური სტუდენტური პროექტის განხორციელება, რომელიც ბოლნისისა და თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტების ლანდშაფტთა კვლევას მიეძღვნება.

*მომზადდა თსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა*



# NASA-ს ჰაკათონის საქართველოს მასშტაბით გამარჯვებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია NASA-ს ჰაკათონის საქართველოს მასშტაბით გამარჯვებულ თსუ-ს სტუდენტებს შეხვდა და ლეპტოპებით დააჯილდოვა.

რექტორმა სტუდენტებთან შეხვედრაზე იმ შესაძლებლობებზე ისაუბრა, რასაც უნივერსიტეტი ახალგაზრდა მკვლევრებს სთავაზობს. მისი თქმით, უნივერსიტეტისთვის ახალგაზრდა მეცნიერების მხარდაჭერა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. „თსუ-ს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მოინახულონ ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის – CERN-ის მსოფლიოს უდიდესი ლაბორატორია ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში და ჩაერთონ სხვადასხვა ექსპერიმენტში. გარდა ამისა, ჩვენი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და არაერთმა სტუდენტმა უკვე მიაღწია წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე. თქვენი გუნდიც სწორედ ამ წარმა-



ტებული ახალგაზრდების რიცხვს მიეკუთვნება“, – აღნიშნა ჯაბა სამუშიამ.

სტუდენტებთან შეხვედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი ლაშა სალინაძე და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი პეტრე ბაბილუა ესწრებოდნენ.

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის პეტრე ბაბილუას თქმით, „ნებისმიერ აქტივობას, რაც უკავშირდება სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას საერთაშორისო ასპარეზზე, ფაკულტეტი მხარს უჭერს. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნი-

ერებათა ფაკულტეტის დაფინანსებით, 6 სტუდენტი, სულ მალე, გერმანულ-ქართული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში იულისის კვლევით ცენტრში გაემგზავრება. ასევე, 2 სტუდენტი ტილანდში აზიის სამეცნიერო ბანაკის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას. გვყავს უამრავი წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერი, რაც იმის დასტურია, რომ თუ შრომობ და ხარ შენი საქმის ერთგული, ეს აუცილებლად დაფასდება“, – აღნიშნა პეტრე ბაბილუამ.

ლეპტოპები საჩუქრად გადაეცათ NASA Space Apps Challenge Tbilisi 2024-ის გამარჯვებული თსუ-ს გუნდის „ასტერისკის“ (ლათ. „პატარა ვარსკვლავი“) წევრებს – ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტებს: **მარიამ ასლამაზიშვილს, ლუკა კეზუას, სალომე ძიგუას და სესილი ბერიშვილს** (ხელმძღვანელი – თსუ-ს ასოცირებული პროფესორი **ოლეგ ხარშილაძე**).

# თსუ-ს ბიბლიოთეკაში უსინათლო და მცირედმხედველი სტუდენტებისთვის სივრცე მოეწყო

6060 ჩარაჰიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მარბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) თანამშრომლობის ფარგლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა თსუ-ს ბიბლიოთეკაში უსინათლო და მცირედმხედველი სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული გარემოს შექმნისაკენ. ბიბლიოთეკაში სპეციალური ტექნოლოგიებით აღჭურვილი კუთხე მოეწყო, რომელიც სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების ხელმისაწვდომობას უზრდის.

„ეს იყო ყველაზე ნაყოფიერი თანამშრომლობა ჩემს პრაქტიკაში“, – აღნიშნა მარბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა საბინე ლაუბერ პოლმა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში. პროფესორი ოფიციალური ვიზიტით ორჯერ ეწვია საქართველოს და უშუალოდ შეხვდა თსუ-ს ბიბლიოთეკის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს.

პროფესორი საბინე ლაუბერ პოლი მარბურგის უნივერსიტეტის განათლების დეპარტამენტში მხედველობის დარღვევის მქონე ადამიანების რეაბილიტაციისა და უწყვეტი განათლების მიმართულებით მუშაობს. ინტერვიუში მან განგვიმარტა, რომ მისი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება როგორც თავად მარბურგის უნივერსიტეტს, ისე მარბურგის უსინათლოთა საგანმანათლებლო ცენტრ „ბლისტას“. პროფესორმა საქართველოში თავის ვიზიტებზე უფრო ვრცლადაც გვიამბო: „2024 წლის ნოემბერში თსუ-ს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პრეზენტაცია ჩავატარე, რომელსაც ბიბლიოთეკის დირექტორიც ესწრებოდა. აუდიტორიის მხრიდან შეთავაზებული თემის მიმართ დიდი ინტერესი ვიგრძენი, რაც ძალიან სასიამოვნო იყო. თსუ-ს პირველ კორპუსშიც გვქონდა საინტერესო შეხვედრა – ვნახეთ დამხმარე ტექნოლოგიები, რომლებიც მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის შევიძინეთ. ზოგჯერ პროექტის ფარგლებში, უბრალოდ, ყიდულობ ნიგნებს ან მასალებს,

რომლებიც შემდეგ თაროზე რჩება და არავინ იყენებს. მომეწონა, რომ აქ ყველაფერი ბიბლიოთეკაში გადაიტანეს და ყველაფერი კეთდება, რათა სტუდენტებმა ამ ტექნიკით ისარგებლონ“.

გერმანელი პროფესორი ამბობს, რომ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანის საკითხი მართლაც რთული და მგრძობიარეა. აპრილში იგი თსუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის წევრებსაც შეხვდა – ახალგაზრდებს აინტერესებდათ მარბურგის უნივერსიტეტში უსინათლოთა მხარდაჭერის თემა. საგულისხმოა, რომ პროფესორ საბინეს ბოლო ვიზიტი საქართველოში კიდევ ერთ მიზანსაც ემსახურებოდა – ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის სამხრეთ-დასავლეთ ცენტრ „ბლისტას“, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და თბილისის 202-ე საჯარო სკოლას შორის.



თსუ-სა და მარბურგის უნივერსიტეტის თანამშრომლობა 2019 წელს „ერაზმუს +“-ის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ინოვაციები კურსკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ – ფარგლებში დაიწყო. პროექტს 12 პარტნიორისგან შემდგარი კონსორციუმი ახორციელებდა, მიზანი კი, განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიის ხარისხის გაუმჯობესება იყო. პროექტის ფარგლებში მარბურგის უნივერსიტეტი ხელს უწყობდა უსინათლო და მცირედმხედველ მოსწავლეებთან და

სტუდენტებთან მუშაობის გაუმჯობესებას.

თსუ-ს ასოცირებული პროფესორი და CISI-ის პროექტის ხელმძღვანელი **თამარ მახარაძე** აღნიშნავს, რომ ორ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა CISI-ის პროექტის შემდეგაც აქტიურად გრძელდება. დამუშავდა ე.წ K-171 ჩარჩო შეთანხმებაც, რომელიც მოიცავს თსუ-ს განათლების, ფსიქოლოგიის, სამართლის, გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მიმართულებებს და შესაძლებელს ხდის აკადემიური ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მოხილვას მარბურგის უნივერსიტეტში. „ახლა ყურადღებას ვამახვილებთ ბიბლიოთეკის მიმართულებით – როგორ გავხადოთ ის უფრო ხელმისაწვდომი მხედველობის დარღვევის მქონე სტუდენტებისთვის. ამ მიმართულებით ჩვენ გამოცდილებას ვცვლით. თსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა – განვიხილეთ ჩვენი ბიბლიოთეკის წარმომადგენლების (და, შესაძლოა, სხვა ადმინისტრაციული ერთეულების) სამომავლო ვიზიტი მარბურგის უნივერსიტეტში, სადაც ისინი ადგილზე იხილავენ – როგორ მუშაობს სისტემა. ასევე, ვგეგმავთ ვიზიტს „ბლისტაში“, რომელიც უსინათლო და მცირედმხედველი ადამიანებისთვის ერთ-ერთი უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრია გერმანიაში. გერმანელი კოლეგებისგან შეგვიძლია ბევრი ვისწავლოთ“, – განაცხადა ასოცირებულმა პროფესორმა თამარ მახარაძემ.

როგორც გერმანულ, ისე ქართულ მხარეს იმედი აქვს, რომ, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, ორივე გაუმჯობესებულ მომსახურებას შესთავაზებს არა მხოლოდ თსუ-ს სტუდენტებს, არამედ სხვა ქართულ უნივერსიტეტებსაც მისცემს მაგალითს – როგორ შეიძლება ინკლუზიური განათლების განვითარებისკენ ნაბიჯები გადაიდგას.

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი **ზურაბ გაიპარაშვილი** აღნიშნავს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შეზღუდული მხედვე-



ზურაბ გაიპარაშვილი

ლობის მქონე სტუდენტებზე ზრუნვის პოლიტიკა დიდი ხნის წინ იქცა ერთ-ერთ პრიორიტეტად, ჯერ კიდევ 15 წლის წინ, ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ დახმარებით. შექმნილ იქნა სპეციალური კომპიუტერი და პრინტერი, რამაც სტიმული მოგვცა და შევიძინეთ ბრაილის შრიფტით შექმნილი უამრავი ლიტერატურა, რომელიც დაცვლილია პირველი კორპუსის სამკითხველოში, საგანგებოდ გამოყოფილ სივრცეში. აქვე განთავსდა დამატებითი ცენტრის მიერ გადმოცემული აპარატურა. პირადად მე, როგორც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გაცვლითი პროგრამის ალუმნის წევრმა, წარვადგინე პროექტი და აშშ-ს საელჩომ დაიფინანსა აუდიო სტუდიის მოწყობა, რომლის დახმარებით ბიბლიოთეკაში შეიქმნა არაერთი აუდიო სახელმძღვანელო უსინათლო სტუდენტებისთვის. რექტორმა ჯაბა სამუშიამ განსაკუთრებული მხარდაჭერა აღმოუჩინა ბიბლიოთეკას ამ მიმართულებით. თსუ-ს ადმინისტრაციის დახმარებით ყოველწლიურად ხორციელდება პროგრამა – „სტუდენტები სტუდენტებისთვის“, რაც სახელმძღვანელოების ისეთ ფორმატში დამზადებას ითვალისწინებს, რომელიც უსინათლო სტუდენტებისა და მკვლევრებისთვის არის გამოსადეგი. საავტორო უფლებების კანონის გათვალისწინებით, ჩვენ საქაბატენტისგან მოვიპოვეთ სპეციალური უფლება (მგონი, საქართველოში ჩვენ ვართ ერთადერთი ასეთი ბიბლიოთეკა), რომ კანონის დაცვით შევძლოთ უახლესი ლიტერატურის სათანადო ასლების დამზადება. ბუნებრივია, საინტერესოა ევროპული გამოცდილების გაზიარება. ჩვენ საამოვნებით ვუმასპინძლეთ გერმანულ კოლეგას და, ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად, დავსახეთ სამომავლო თანამშრომლობის გზებიც“.



# თსუ-ს სტომატოლოგიის მიმართულების სტუდენტების ორკვირიანი ვიზიტი ბოსტონის ტაფტის უნივერსიტეტში წარმატებით დასრულდა

61660 ჩარაპიანი

კონკურსით შერჩეულმა თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის სტომატოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატისა და დოქტორანტურის 3 სტუდენტმა ტაფტის უნივერსიტეტის მულტიდისციპლინურ ლექციებში, სემინარებსა და კლინიკურ პრაქტიკაში მიიღო მონაწილეობა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბოსტონის ტაფტის სტომატოლოგიური სკოლის თანამშრომლობა სტუდენტებისა და პედაგოგ-მასწავლებლების გაცვლას, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად. ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება თსუ-ს კურსდამთავრებულთა და ამჟამად ტაფტის პროფესორის, მარიამ მარგველაშვილის მხარდაჭერით გაფორმდა.

თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორმა ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში ვიზიტი სტუდენტების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოცდილება და გამოწვევა იყო. „ძალიან პროდუქტიული და დატვირთული სასწავლო პროგრამა გამოგვივიდა. გარდა ტაფტის უნივერსიტეტის სტომატოლოგიური სკოლისა, ჩვენი სტუდენტები, ისევე მარიამ მარგველაშვილის ხელშეწყობით, ორჯერ იმყოფებოდნენ ბოსტონის უნივერსიტეტში. აქ დავესწარით ძალიან საინტერესო მასტერკლას-სემინარს იმ რეზიდენტებისა, რომლებმაც უკვე დაასრულეს რეზიდენტურა ბოსტონის და ტაფტის უნივერსიტეტებში და ემზადებიან ამერიკის ორთოპედ სტომატოლოგთა ბორდის წინაშე სასერტიფიკაციო გამოცდის ჩასაბარებლად“, – აღნიშნავს პროფესორი მამუკა მარგველაშვილი,

**მედიცინის ფაკულტეტი სამომავლოდაც აპირებს ტაფტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაღრმავებას იმისათვის, რომ მეტმა მონდომებულმა და წარჩინებულმა თსუ-ს სტუდენტმა მოახერხოს ამ შესაძლებლობის გამოყენება.**

რომელიც თსუ-ს ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრის გამგესთან, პროფესორ მანანა კალანდაძესთან ერთად ბოსტონში ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

ბოსტონი მედიცინისა და კვლევების მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საუნივერსიტეტო ქალაქია მსოფლიოში. სწორედ ამის გათვალისწინებით, თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი მანანა კალანდაძე ამბობს, რომ მაღალგანვითარებული ტექნოლოგიური ბაზის და უახლესი სწავლების მეთოდების ნახვა სტუდენტებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო. „ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებს წვდომა ჰქონდათ როგორც თერაპიის, ასევე ორთოპედიულ და ქირურგიულ განყოფილებებთან. შეეძლოთ თავადაც მონაწილეობა მიეღოთ ორთოპედიული ლაბორატორიის მუშაობაში და ასისტენტობა გაენიათ პროფესიონალებისთვის“, – განმარტა პროფესორმა.

აშშ-დან დაბრუნების შემდეგ შთაბეჭდილებების შესახებ თავად პროგრამაში მონაწილე სტუდენტებსაც ვკითხეთ.



მათი თქმით, ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი ის იყო, რომ უდიდესი ყურადღება ეთმობოდა სტუდენტების მიერ პრაქტიკის დაგროვებას და რეალურ პაციენტებზე მუშაობას. „ყველაზე შთაბეჭდავი იყო ტაფტის უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკა, სადაც სტუდენტები და რეზიდენტები სრულფასოვან მკურნალობას უწევდნენ პაციენტებს და შემდეგ ფაკულტეტის წევრებთან ერთად განიხილავდნენ წარმატებასა და გამოწვევებსაც. ამ ვიზიტმა მაჩვენა პოტენციურად როგორ შემიძლია შევავსო ცოდნის „ბრმა ზონები“ როგორც ჩემთვის, ასევე ჩემი სტუდენტებისთვის“, – გვითხრა სტომატოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა ალექსანდრე პატიშვილმა. ბაკალავრიატის მე-2 კურსის სტუდენტი ნიკოლოზ ჯინჭარაძე კი დარწმუნებულია, რომ ამერიკაში მიღებული გამოცდილება მომავალში პროფესიულ განვითარებაში დაეხმარება: „ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ცოდნა მივიღე. ყველაზე მეტად დამამახსოვრდა მრავალფეროვანი გარემო და ის, თუ როგორ ეხმარებიან სტუდენტებს კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, როგორ აქცევენ ყურადღებას ინდივიდუალურ მიდგომებს სტუდენტებთან“.

აშშ-ში ორკვირიანი ვიზიტის ფარგლებში, თსუ-ს სტომატოლოგიის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტი ნუცა ჩუხრუკიძე, პროფესორ მარიამ მარგველაშვილის დახმარებით, ჰარვარდის უნივერსიტეტს ეწვია. როგორც ნუცა ამბობს, ამ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობამ იგი ალაფრთოვანა, რადგან იდეალურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გარემოში მოხვდა. „ჩემთვის დასამახსოვრებელი იყო, რომ სემინარები და სტუდენტების მიერ მომზადებული პრეზენტაციების უმეტესობა რეალურ პაციენტებზე იყო დაფუძნებული. ჩემი აზრით, როდესაც სტუდენტები სწავლობენ რეალურ კლინიკურ შემთხვევებზე, ეს ყველაფერი ამაღლებს პასუხისმგებლობის შეგრძნებას და, ამავე დროს, კიდევ უფრო აძლიერებს პრაქტიკულ უნარებს“, – აცხადებს ნუცა. სტუდენტი ტაფტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტების ყურადღებიან დამოკიდებულებასაც იხსენებს. მისი თქმით, ამ ურთიერთობებმა მას სტომატოლოგიურ განათლებაზე ახალი ცოდნა მისცა და პერსპექტივებიც გაუფართოვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიცინის ფაკულტეტი სამომავლოდაც აპირებს ტაფტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის გაღრმავებას იმისათვის, რომ მეტმა მონდომებულმა და წარჩინებულმა თსუ-ს სტუდენტმა მოახერხოს ამ შესაძლებლობის გამოყენება.

## ანა წიქარიშვილის „ვებერთელა“ სიყვარულის საიდუმლოებანი

პარტია ბაროშვილი

ანა წიქარიშვილი ამბობს, რომ თავისი არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე იმიტომ შეაჩერა, რომ მის წარმოდგენაში ეს სასწავლებელი პირველი და „ერთადერთია“, რაშიც ის ორწლიანი სტუდენტობის პერიოდშიც დარწმუნდა. თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის მიმართულებაზე სწავლა ანასთვის მრავალმხრივ საინტერესოა.



„ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია პროფესიონალ გუნდთან მუშაობა. ჩემთვის გამორჩეულად საყვარელი ლექტორია აკადემიკოსი ელგუჯა ხინთიბიძე. მაღლიერი და ილბლიანი ვარ, რომ მისი სტუდენტი ვარ. ჩემი კურსელები გაიგებენ – ჩვენ „ვებერთელა“ სიყვარული გვაკავშირებს. ასევეა ძვირფასი ჩემთვის ბატონი ელგუჯა ხინთიბიძის საგნის სემინარის ხელმძღვანელები – ქალბატონი თამარ მელიქიძე და ირმა მაკარაძე, რომელთა გარეშეც პირველი კურსის გამორჩეულ სიტკბოებას ვერ ვიგემებდი. აუცილებლად მინდა გავიხსენო ქალბატონი მაკა ელბაქიძე, რომლის ორატორული შესაძლებლობითაც ყოველ კვირას მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ვმოგზაურობთ. ჩემთვის გაზაფხულის სემესტრის აღმოჩენაა ბატონი გიორგი უგულავა, რომელმაც ანტიკური ლიტერატურის სიყვარული გამიმძაფრა, მისი მოსმენა

„**საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუმცა ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული გადანონის და საბოლოოდ ამ თემაზე იმუშავებს.**“

გამოცდებისთვის განკუთვნილი ერთი კვირა არასაკმარისია. უმჯობესი იქნება ორ კვირაზე გათვლილი საგამოცდო პერიოდი, რაც შეამცირებს შფოთვა-სტრესს და შექმნის ხარისხიანად მომზადების წინაპირობას. ასევე, აკადემიური რეგისტრაცია უფრო მეტად დასახვენი და მოსანესრიგებელია, რათა აღმოიფხვრას არსებული პრობლემები საგნების არჩევის დროს. აგრეთვე მსურს, შესაძლებელი იყოს საგამოცდო ნაშრომის ელექტრონულად ასახვა, რათა აპელაციის დროს არ გვჭირდებოდეს საგამოცდო ცენტრში ვიზიტი. ზოგადად, უმეტესწილად, გათვალისწინებულია სტუდენტთა მოთხოვნები და საჭიროებები. პირადი გამოცდილებით შემიძლია ვთქვა, რომ პრობლემის შემთხვევაში რეაგირება ხდება“.

ანა წიქარიშვილი უნივერსიტეტის ცხოვრებაში პირველივე დღიდან აქტიურად არის ჩართული. იგი ხელმძღვანელობდა სტუდენტური თვითმმართვე-

ლობის „განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტს“, სადაც, გუნდთან ერთად, განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი, საჯარო ლექცია თემაზე – „წარმატების საიდუმლო“ (ხათუნა რაზმაძის სპიკერობით); მონაწილეობა მიიღო მეშვიდე საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც წარადგინა თემა სახელწოდებით – „აბსურდულობა და მნიშვნელობის დევნა ალბერ კამიუს ნაშრომში – „სიზიფის მითი“. იგი არის სტუდენტური გაერთიანების – „ფილოლოგთა კლუბი“ – აქტიური წევრი. სწორედ მათი ორგანიზებით განხორციელდა ელგუჯა ხინთიბიძის საჯარო ლექცია – „ვეფხისტყაოსნის სიყვარული“.

საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევაზე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, თუმცა ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული გადანონის და საბოლოოდ ამ თემაზე იმუშავებს.

„ჩემი სამომავლო გეგმა მოიცავს აკადემიური მოსწრების მაღალ ხარისხსა და ყველა სასურველ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებას. მაქსიმალური გამოცდილებისა და დაუფინყარი მოგონებების შექმნას; სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და ამით მშვიდ და ჯანსაღ გარემოში ტკბობას. ვგეგმავ, მაქსიმალურად მივიღო მონაწილეობა კონფერენციებსა და საჯარო ლექციებში, რაც ჩემი პიროვნული განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების წინაპირობაა“, – ამბობს ანა წიქარიშვილი.



# თსუ-ს სტუდენტებმა ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლოს კონკურსში გაიმარჯვეს

ენიკო ჩარაქვიანი

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა „ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო 2025“-ის კონკურსში გაიმარჯვეს, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. შეჯიბრში საქართველოს 16 უნივერსიტეტის 200-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. გამარჯვებული თსუ-ს გუნდის წევრები საერთაშორისო სამართლის პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტები ეკატერინე პატიშვილი, სოფო ჭყოიძე, დავით ჭყოიძე და ნიკოლოზ გელოვანი არიან.

თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ასოცირებული პროფესორის თამარ ზარანდიას შეფასებით, ასეთი კონკურსები მნიშვნელოვანია, რადგან იგი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, რომ გაიღრმავონ ცოდნა ევროკავშირის სამართალში და შეიძინონ მომავალი პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. დეკანმა აღნიშნა: „ძალიან მახარებს, რომ ჩვენი სტუდენტები, როგორც ყოველთვის, წარმატებულად არიან სხვადასხვა ასპარეზზე. წელსაც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა მოიპოვა გამარჯვება ევროკავშირის იმიტირებული სასამართლო პროცესის შეჯიბრში, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის სასწავლო ცენტრის მხარდაჭერით წელს მეშვიდედ გაიმართა. ამ შეჯიბრის მიზანი ევროკავშირის სამართლის შესახებ სტუდენტებში ცოდნის გაღრმავე-



ბაა. მინდა, მადლობა ვუთხრა შეჯიბრის ორგანიზატორებს და მივულოცო ჩვენს სტუდენტებს ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება“.

გუნდის წევრები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ორი თვის განმავლობაში ემზადებოდნენ. „პირველ ეტაპზე მოცემული კაზუსის შესაბამისად ვამზადებდით და ვაგზავნიდით წერილობით ნაშრომებს, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა 8 საუკეთესო გუნდი. როდესაც გაირკვა, რომ ზეპირი ეტაპის მონაწილეთა შორის ვიყავით, დავინწყეთ ინტენსიური მზადება ზეპირი რაუნდებისთვის. ვამუშავებდით არგუმენტებს, ვწერდით წარსადაგენ სიტყვას, ვვარჯიშობდით გამოვლენას და ვაანალიზებდით კაზუსის ყველა დეტალს. ვიკრიბებოდით და ერთმანეთს ვუსვამდით ისეთ კითხვებს, როგორსაც ველოდით მოსამართლეებისგან კონკურსის მიმდინარეობისას“, – აცხადებენ სტუდენტები გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბარში. მათი თქმით, პროცესი იყო ინტენსიური, თუმცა ძალიან პროდუქტიული და თითოეული მათგანისთვის დიდი გამოცდილების მიმცემი. აღსანიშნავია, რომ კონკურსის ზეპირი ეტაპები იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში ჩატარდა, სა-



დაც მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი გაიმართა. თითოეულ რაუნდში გუნდებს შორის მიმდინარეობდა იმიტირებული სასამართლო განხილვა, სადაც ჟიურის წინაშე წარადგინდნენ სამართლებრივ არგუმენტებს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის პოზიციიდან. სტუდენტების თქმით, შეჯიბრი მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ გამარჯვების გამო, არამედ პროფესიული და პიროვნული განვითარების თვალსაზრისითაც.

**ეკატერინე პატიშვილი** ხაზი გაუსვა, რომ კონკურსი პროფესიული თვითდაჯერებულობის ამაღლებაში დაეხმარა: „ზეპირ რაუნდებში, განსაკუთრებით მოსარჩელის პოზიციის წარდგენისას, მივიღე უნიკალური შესაძლებლობა – ჩემი სამართლებრივი ცოდნა პრაქტიკაში სრულად გამოვეყენებინა. ზეპირი გამოვლენის დროს, ასევე, შევიძინე პრაქტიკული უნარები სტრატეგიული დაგეგმვისა და ეფექტური კომუნიკაციის მიმართულებით“.

**სოფო ჭყოიძე** ევროკავშირის სამართლის სფეროში შეძენილ ცოდნაზე, გუნდური მუშაობისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე გაამახვილა ყურადღება: „საფუძვლიანად გავეცანი ევროკავშირის მართლმსა-

ჯულების სასამართლოს პრაქტიკას. დეტალურად შევისწავლე რამდენიმე საქმე. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად განამტკიცა ჩემი უნარი – დამოუკიდებლად მემუშავა სამართლებრივ წყაროებთან და გამოვეყენებინა ისინი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების კონტექსტში. ზეპირ მოსმენებზე მოსამართლეების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემამ მასწავლა სწრაფად რეაგირება და სამართლებრივი არგუმენტების ადაპტირება შეზღუდულ დროში“.

**დავით ჭყოიძის** თქმით, კონკურსმა დროის მართვა და სტრესთან გამკლავება ასწავლა.

**ნიკოლოზ გელოვანი** სირთულეებზე გვესაუბრა: „ყველაზე დიდი სირთულე იყო დროის მართვა და კონკურსის ინტენსიური ფორმატის შეთავსება სხვა აკადემიურ ვალდებულებებთან. მომზადება მოითხოვდა როგორც სიღრმისეულ კვლევას, ისე ზეპირი გამოვლენის უნარების განვითარებას – არგუმენტების მკაფიოდ და სწრაფად წარმოჩენასა და გუნდურ შეთანხმებას. განსაკუთრებით რთული იყო მოულოდნელ კითხვებზე პასუხის დროული გაცემა ზეპირ რაუნდში, რაც დიდ ფსიქოლოგიურ მზადყოფნას საჭიროებდა. მიუხედავად ამ სირთულეებისა, გამოცდილება ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა“.

„ევროკავშირის სამართლის იმიტირებული სასამართლო 2025“ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში ჩატარდა. თსუ-ს გამარჯვებული გუნდის წევრებს კი პრიზად Kindle-ის ელექტრონული წიგნების მონყობილობა და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

## სტუდენტებისთვის ახალი სახელმძღვანელო – „ეკონომიკური აზროვნების წესი“ – გამოიცა

წიგნის თარო

თამარ დალიანი

საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალზე, რომელიც ბიბლიოთეკარის დღეს მიეძღვნა, თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი ლაღანიძემ წარმოადგინა ახალი სახელმძღვანელო – „ეკონომიკური აზროვნების წესი“ (ავტორები: პროფესორი პოლ ჰენინე, პროფესორი პეტერ ჯ. ბოეტკე და პროფესორი დეივიდ ლ. პრიჩიტკო).

ქართული გამოცემის მთავარი სამეცნიერო რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი **ავთანდილ სილაგაძე**.

წიგნი ახლახან ითარგმნა ჩინურ, იაპონურ, რუსულ და უნგრულ ენებზე. ინგლისურ ენაზეც კი ეს წიგნი განსხვავებულად შეიგარძნობა და განსხვავებულად იკითხება საყოველთაოდ ხელმისაწვდომ სხვა წიგნებთან შედარებით. მართლაც, ეს წიგნი სულ სხვაა, რომელიც სტუდენტებს აცნობს ეკონომიკის უნარებს. იგი სტუდენტებს ასწავლის მაგალითებისა და პრაქტიკული გამოყენებების საშუალებით. ასევე, ასწავლის იმის ჩვენებითაც, თუ როგორ არ უნდა იფიქრონ; უჩვენებს მათ იმ შეცდომებს, რომლებიც დამახასიათებელია ეკონომიკური მოვლენების შესახებ პოპულარული მსჯელობისთვისაც კი...

როგორც წიგნის ქართული გამოცე-

**წიგნის შესავალში ავტორები პიტერ ბოეტკე და დეივიდ ლ. პრიჩიტკო გამოცემის მნიშვნელობასა და განსხვავებულობაზე საუბრობენ, რომელიც სტუდენტებს ეკონომიკის უნარებს აცნობს და ასწავლის მაგალითებისა და პრაქტიკული გამოყენებების საშუალებით**

მის მთავარი სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი ავთანდილ სილაგაძე აღნიშნავს: „წინამდებარე სახელმძღვანელო თსუ-ს საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ინსტიტუტის კათედრის მიერ, ბოლო წლებში, ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილი, აშშ-სა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში კარგად აპრობირებული, საერთაშორისო სტანდარტების მქონე მესამე წიგნია. ის მნიშვნელოვნად განსხვავდება პოლ ჰენინეს სიცოცხლეში გამოცემული სახელმძღვანელოსგან, თუმცა ბევრი რამ შენარჩუნებულია მისი კოლეგების-თანაავტორების მიერ, რომლებმაც პ. ჰენინეს დაწყებული საქმე განაგრძეს და განავითარეს.“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნისის ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებში ეკონომიკური აზროვნების სასწავლო კურსის შემოღება გაამდიდრებს არსებულ სასწავლო პროგრამებს. მისი სწავლე-



ბა, ასევე, მეტად სასარგებლო იქნება თსუ-ს სხვა ფაკულტეტებისა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების, მათ შორის, (არაპროფილური) „ეკონომიკის“ შესწავლით დაინტერესებული სხვა სტუდენტებისათვის“, – აცხადებს პროფესორი ავთანდილ სილაგაძე. წიგნის შესავალში ავტორები პიტერ ბოეტკე და დეივიდ ლ. პრიჩიტკო გამოცემის მნიშვნელობასა და განსხვავებულობაზე საუბრობენ, რომელიც სტუდენტებს ეკონომიკის უნარებს აცნობს და ასწავლის მაგალითებისა და პრაქტიკული გამოყენებების საშუალებით.

„ეს წიგნი შექმნილია იმისთვის, რომ განავითაროს ჩვენი სტუდენტების უნარები, იაზროვნონ, როგორც ეკონომისტებმა, თუ ისინი მოიხიბლებიან, მათ საკმარისი შესაძლებლობა ექნებათ, დახვეწონ მოდელირების თავიანთი უნარები ეკონომიკის სხვა კურსებისკენ მოძრაობის კვალდაკვალ. იმედი ვიქო-

ნით, რომ სტუდენტები გააგრძელებენ ამ მშვენიერი დისციპლინისკენ სწრაფვას, სულ მცირე, დაიმასხვოვრებენ მის ძირითად გაკვეთილებს“, – აღნიშნავენ წიგნის ავტორები პიტერ ბოეტკე და დეივიდ ლ. პრიჩიტკო წიგნის შესავალში.

წიგნი 16 თავისგან შედგება, სადაც განხილულია შემდეგი საკითხები: ეკონომიკური აზროვნების წესი; ეფექტიანობა, გაცვლა და შედარებითი უპირატესობა; შემცველები ყველგან; მოთხოვნის კონცეფცია; ღირებულება და არჩევანი: მიწოდების კონცეფცია; მოთხოვნა და მიწოდება: კოორდინაციის პროცესი; არასასურველი შედეგები: მიწოდებისა და მოთხოვნის მეტი გამოყენება; კონკურენცია და სამთავრობო პოლიტიკა; გარე ეფექტები და წინააღმდეგობრივი უფლებები; ბაზრები და მთავრობა და სხვა...

წიგნის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, პროფესორი გიორგი ლაღანიძე, ეკონომიკის მეცნიერებათა და აკადემიური დოქტორები: რამაზ აბესაძე, ანზორ აბრალავა, იური ანანიაშვილი, რევაზ გველესიანი, სიმონ გელაშვილი, ნუგზარ თოდუა და სხვები...

წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა მიეძღვნა საქართველოში მოღვაწე გარდაცვლილ მეცნიერ-ეკონომისტებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომიკური აზროვნების განვითარებისა და სწავლების საქმეში, მათ შორის: ირაკლი მიქელაძეს, პაატა გუგუშვილს, ავთანდილ გუნიას და სხვებს.



# ანი ბაღდადაშვილის ხედვა – რა არის შესაცვლელი თსუ-ში?

შურთხია ბაროშვილი

ანი ბაღდადაშვილი თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია. ამბობს, რომ სასწავლებლის და პროფესიის არჩევა თავიდან გაუჭირდა, თუმცა, ამ გადასახედიდან მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილია. „ჩემ შემთხვევაში, იღბაღს დავაბრალებ, რომ ზუსტად ის ფაკულტეტი ავირჩიე, რომელიც მართლაც ახლოს არის ჩემს პიროვნებასთან. თავიდანვე ბევრ მოლოდინს ვამყარებდი ისტორიულად პირველ ქართულ უნივერსიტეტზე, რომელსაც შეეძლო ჩემთვის რეალური ცოდნის შემოთავაზება. მივხვდი, რომ თუ ჩემი გზა ქართული ფილოლოგიისთვის უნდა დამეკავშირებინა, სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა ამერჩია“, – ამბობს ანი.



დათ ზრუნვა, ახლა ბევრი სტუდენტია, ვისაც ელემენტარული საცხოვრებელი პირობების დაკმაყოფილებისთვის სწავლასთან ერთად მუშაობა უნევს. უნივერსიტეტი რაც შეიძლება მეტად მორგებული უნდა იყოს სტუდენტების მდგომარეობაზე და გაითვალისწინოს მათი პრობლემები. სტუდენტების ხმას ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს; ვგულისხმობ იმას, რომ თვეში ერთხელ მაინც უნდა ტარდებოდეს შეხვედრები სტუდენტებთან, რათა მათ შეეძლოთ საკუთარი ხმის, იდეების, შე-

ხედვების მუდმივად გაზიარება. ამასთან, აკადემიური პერსონალის შრომა უნდა იყოს მეტად დაფასებული, მეტად ნაბალისებული და შესაბამისად, ჩვენც, ე.წ. „მომავალ თაობას“ უნდა გვქონდეს განცდა, რომ თუ ვიშრომებთ, სამომავლოდ ჩვენი შრომა დაფასდება. შევცვლიდი მიდგომას, ზოგადად, სტუდენტებისადმი იმ კუთხით, რომ მოვუსმენდი ყველა მათგანს და ძალიან, ძალიან ხშირად შევხვდებოდი ყველას, ვისაც რაიმე სახის კითხვა გაუჩნდებოდა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი ყოველთვის გახლდათ ის საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ნებისმიერ რთულ სიტუაციაში ახერხებდა მაღალი თამასის შენარჩუნებას. ასე უნდა გაგრძელდეს დღესაც. როცა რომელიმე საერთაშორისო პროექტზე ვიტყვი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვსწავლობ, არ უნდა უჩნდებოდეთ კითხვები – თუ სად არის ეს უნივერსიტეტი ან რა ტიპის დაწესებულებაა. ყველა უნდა ფლობდეს ინფორმაციას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ნამდვილად საერთაშორისო სტანდარტების მქონე კვლევითი საგანმანათლებლო დაწესებულებაა და ეს ადრე ასეც იყო“, – გვიზიარებს ანი თავის აზრს. ანი საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობს, რომელიც ეხება იდენტობის პრობ-

ლემას მისთვის ორ საყვარელ რომანში – კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილსა“ და ჰერმან ჰესეს „ზიდ-ჰარტაში“. იგი ჯერ კიდევ მუშაობის პროცესშია. „პრობლემა, ბუნებრივია, თავისი არსითა და სპეციფიკით რთულია, თუმცა კარგი ხელმძღვანელის წყალობით და თემით, რომელიც მუდამ ჩემი ინტერესის სფერო იყო, საბოლოოდ დაძლევადა“, – ამბობს ანი. ანი ბაღდადაშვილი მონაწილეობას იღებდა European solidarity Corps-ის პროგრამის გრძელვადიან მოხალისეობრივ პროგრამაში. თითქმის ერთი წელი გაატარა პოლონეთში, ახალგაზრდულ ცენტრში, სადაც გაეცანო ახალგაზრდული მუშაობის სპეციფიკას, დაესწრო ტრენინგებს, რამდენიმე ახალგაზრდული საერთაშორისო პროექტის უშუალო ორგანიზების პროცესშიც ჩაერთო და ახლოს გაიცნო როგორც უცხო ქვეყნის კულტურა, ასევე, კონკრეტულად, განათლების სექტორი და ის სირთულეები, რომელსაც ეს სექტორი სხვა ქვეყნებში აწყდებდა. ანიმ მოგზაურობისას უამრავი საინტერესო მეგობარი შეიძინა და ეცადა, მათი კულტურის გაცნობასთან ერთად, ე.წ. „კულტურულ საღამოებზე“ მათთვისაც აეხსნა საქართველოსა და ქართული კულტურის შესახებ.

## ნიკ სიარგის თვალთ დანახული ქართულ-ესტონური ურთიერთობები

6167 ჩარაჰიანი

„გვიქრობ, რომ ადამიანს, რომელმაც არ იცის საკუთარი ქვეყნის ისტორია, გაუჭირდება საზოგადოებისთვის რეალური სარგებლის მოტანა“, – ამბობს ნიკ სიარგი, რომელსაც დედა ქართველი ჰყავს, მამა კი ესტონელი. ის წარმატებით ახერხებს, რომ ეს ორი ერი და კულტურა ერთმანეთს შეუთავსოს, თუმცა მაინც ცხადია, რომ ორმაგი იდენტობა მის ინტერესებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. დღეს ნიკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტია. მისი სამეცნიერო ინტერესები, ძირითადად, ქართულ-ესტონური ურთიერთობებს, მსოფლიო ისტორიას და საბჭოთა წარსულის კვლევას შეეხება. იგი ამყობს, რომ უკვე თსუ-ს 9 სამეცნიერო კონფერენციაში აქვს მონაწილეობა მიღებული. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტთან“ საუბრისას მან აღნიშნა, რომ სწორედ პირველი კონფერენციის შემდეგ მიხვდა – კვლევისთვის და მეცნიერებისთვის უნდა მიეძღვნა თავი.

**ნიკ სიარგის ერთ-ერთი გამორჩეული აკადემიური წარმატების აღმნიშვნელია თსუ-ს გამომცემლობის მიერ გამოცემულ კრებულში მოხვედრილი სტატია, რომელიც 1924 წლის აჯანყებას ეხება. პრეზენტაცია უნივერსიტეტში გაიმართა, ხოლო მონაწილეები სიგელებით და აკაკი ჩხენკელის წიგნებით დააჯილდოვეს.**



თიერთგაგება. საინტერესოა მისთვის კულტურული პარალელები, ასევე ის ფაქტი, რომ სტაბილურად არსებობდა და კვლავაც ფუნქციონირებს გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისთვის. საუბრის ბოლოს ვკითხეთ – რას ნიშნავს მისთვის თსუ? მან კი ასე გვიპასუხა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამეხმარა – საკუთარი თავი აღმომეჩინა. მასწავლა, როგორ მივუდგე მეცნიერულად კითხვებს, როგორ ვიფიქრო, როგორ ვიპოვო და გავაანალიზო ლიტერატურა. უნივერსიტეტმა მომცა პროფესიული თვითრწმენა, მასწავლა მიზნების დასახვა, დროის მართვა, მეგობრობა და გუნდური მუშაობა. და რაც ჩემთვის მთავარია – როცა პირველ კურსზე ჩავაბარე, ქართულად ლაპარაკიც მიჭირდა, სიტყვებს ვერ ვაბამდი. დღეს კი უნივერსიტეტის წყალობით ქართულად გამართულად ვსაუბრობ და ვწერ – და სწორედ ამ ენაზე ვცდილობ, წარსული ვიკვლიო და მომავალში გზა ვავიკვლო“.

## ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის შესახებ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა. შეხვედრას თსუ-ს რექტორის მოადგილე ნინო გვენეტაძე ესწრებოდა. ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში მონაწილეთა რეგისტრაციის ვადის, სტაჟირების გავლის ადგილებისა და პირობების შესახებ თსუ-ს სტუდენტებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე იოსებ ვარძელაშვილი და საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი ლევან ძნელაძე ესაუბრნენ. მათ ყურადღება გაამახვილეს იმ უნარებსა და ცოდნაზე, რომელთაც სტუდენტები სტაჟირების შედეგად შეიძენენ.



# გიორგი კვარაცხელიას გაცვლითი პროგრამით სარგებლობის საშუალება არაერთხელ მიეცა

მაია ტორაძე

გიორგი კვარაცხელია იმ სტუდენტთა შორისაა, რომელთაც გაცვლითი პროგრამებით სარგებლობის საშუალება არაერთხელ მიეცათ. ის ფიქრობს, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტში ერთი სემესტრის განმავლობაში მიღებული ცოდნა დაეხმარება კვალიფიკაციის ამაღლებასა და შრომით ბაზარზე დამკვიდრებაში.

გიორგი თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით მესამეკურსელია. სპეციალობა საფუძვლიანი ძიებისა და ინტერესების გაანალიზების შემდგომ აარჩია და ახლა ფიქრობს, რომ ეს სწორედ ის მიმართულებაა, რომელშიც საკუთარ მომავალს ხედავს: „ბავშვობიდან ძალიან მრავალმხრივი ინტერესები მქონდა – ერთხანს გეოგრაფია მაინტერესებდა, მერე – სამართალი, ჟურნალისტიკა და სხვა სფეროებიც. საბოლოოდ, სწორედ ამ მრავალფეროვნებამ მიმიყვანა საერთაშორისო ურთიერთობებთან, რადგან ეს პროფესია აერთიანებს ყველაფერს, რაც ყოველთვის მიზიდავდა. ვფიქრობ, ეს მიმართულება იძლევა შესაძლებლობას, მუდმივად განვითარდე და მოვლენებს გლობალურად შეხედო“, – გვითხრა მან.

გიორგი ორი წლის განმავლობაში გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური მოსწრებით და აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო და სასწავლო პროექტში, 2024 წლის შემოდ-



გომაზე კი, „ერასმუს +“-ის გაცვლითი პროგრამით, ერთი სემესტრი პორტუგალიაში, პორტოს უნივერსიტეტში გაატარა. ცხადია, პორტომდე მისასვლელი გზა ადვილი არ იყო: „როდესაც გავიგე, რომ გამოცხადდა ამ პროგრამაზე მიღება, ზუსტად ათი დღე მქონდა იმისთვის, რომ შემეგროვებინა ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც ითხოვდა უნივერსიტეტი და პროგრამა, ასევე დამენერა სამოტივაციო წერილი და მიმეღო ორი რეკომენდაცია ლექტორებისგან. ამ ყველაფრის გაგზავნის შემდგომ კი იყო ორთვიანი ლოდინის პერიოდი. საბოლოოდ, 12 ივნისს გახდა ცნობილი, რომ არჩეული ვიყავი პროგრამაზე“, – იხსენებს გიორგი.

**პორტოს უნივერსიტეტში სწავლის პროცესი საინტერესო აღმოჩნდა, რადგან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა კვლევებზე დაფუძნებულ სწავლებას და სტუდენტების კრიტიკული აზროვნების ნახალისებას.**

პორტოს უნივერსიტეტში სწავლის პროცესი საინტერესო აღმოჩნდა, რადგან განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცეოდა კვლევებზე დაფუძნებულ სწავლებას და სტუდენტების კრიტიკული აზროვნების ნახალისებას. „როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სტუდენტისთვის, ეს ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ლექციები და სემინარები ხშირად მოიცავდა დისკუსიებს, თეორიების კრიტიკას და მათ პრაქტიკულ კონტექსტში განხილვას, რაც სწავლის პროცესს უფრო აქტიურს ხდიდა. კვლევაზე ორიენტირებული მიდგომები განსაკუთრებით აძლიერებდა ჩემს როგორც ანალიტიკურ, ასევე კომუნიკაციის უნარებს“, – გვითხრა მან და აღნიშნა, რომ ამგვარი სწავლების სტილი უშუალო გარემოს ქმნიდა ლექტორსა და სტუდენტებს შორის, რაც ხელს უწყობდა თავისუფალი აზრის გაცვლასა და სასწავლო პროცესში მეტი პასუხისმგებლობით ჩართვას. კითხვაზე – რა განსხვავება დაინახა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პორტოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში, გიორგიმ აღნიშნა, რომ გაცვლითი პროგრამა იმითაცაა საინტერესო – დაფასო ის სივრცე, რომელიც გაძლევს საფუძველს, გზასა და მუხტს, რომ საკუთარ თავში აღმოაჩინო აკადემიური და პიროვნული პოტენციალი: „თსუ-ში მივიღე ღრმა და სტრუქტურირებული ცოდნა. თეორიებიდან პრაქტიკულ შემთხვევებზე გადასვლა, ანალიზის უნარის განვითარება და გლობალური პროცესების კრიტიკულად აღქმა – ეს ყველაფერი თსუ-ს ლექტორების დამსახურებაა, რომლებიც არა მხოლოდ ცოდნას გვიზიარებდნენ, არამედ გვეხმარებოდნენ დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ამიტომ თსუ არის ადგილი, სადაც არა მარტო ცოდნა მივიღე, არამედ ჩემი სოციალური კაპიტალიც გავზარდე – გავიცანი არაჩვეულებრივი ლექტორები, შევიძინე მეგობრები, რომლებიც ცხოვრების ყველა ეტაპზე გვერდში მიდგანან. სწორედ თსუ-მ მომცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიმეღო „ერასმუს +“-ის პროგრამაში და გამეწვლია გაცვლითი სემესტრი ევროპაში, რაც ჩემთვის არა მხოლოდ აკადემიური, არამედ პიროვნული გამოცდილებაც იყო“, – ამბობს იგი.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, გიორგისთვის ის ისევ სწავლას უკავშირდება და შემდეგ სემესტრს, კვლავ „ერასმუს +“-ის პროგრამით, პორტუგალიაში, ამჯერად მინჰოს (University of Minho) უნივერსიტეტში გაატარებს.

## ბექა ბაღათურიასთვის ოცნებები და რეალობა ერთმანეთს დაემთხვა

პროფილში

შარტხია ბაროშვილი

ბექა ბაღათურიასთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩაბარების დღიდან, მის „მეორე სახლად“ იქცა, რადგან მისი ოცნებები და რეალობა ერთმანეთს დაემთხვა. ქართული ფილოლოგიის უკეთ შესასწავლად ამ კუთხით მდიდარი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტმა მისი იმედები სრულიად გაამართლა. თავად მისაღებ გამოცდებზე უმაღლესი შეფასება დაიმსახურა და ამ ენთუზიაზმით აგრძელებს სწავლას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

„პირველივე დღიდან, როდესაც ფეხი შევედგი უნივერსიტეტში, მოვიხუსხე სიმწვანეში ჩაფლული რძისფერი კედლებითა და ჩვენი არაჩვეულებრივი უნივერსიტეტის ბაღით. ვამაყობ, რომ სტუდენტობის წლების გატარება სწორედ ისტორიულ პირველ კორპუსში მიწევს, რომლის თითოეული აუდიტორია, დერეფანი თუ დარბაზი პირადად მე ძალიან მეძვირფასება. უნივერსიტეტში, პირველ რიგში, ცონის გასაღრმავებლად ჩავაბარე. გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ამდენი საინტერესო საგანი, როგორც ქართულ ფილოლოგიას, სხვა არცერთ პროგრამას აქვს. ამიტომ, სწავლის პროცესით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ. გარდა ამისა, ამ ორი წლის განმავლობაში მრავალი საინტერესო ადამიანი გავიცანი. უნივერსიტეტი – ეს ნამდვილად ის ადგილია, რომელიც ჭეშმარიტ მეგობრებს აღმოგაჩინებს“, – ამბობს ბექა.

სტუდენტი გულახდილად საუბრობს პრობლემებზეც: „შარშან შევიტყვე, რომ პირველი კორპუსის მიმდებარე იგემება ახალი კორპუსის აგება და ვიმედოვნებ, რომ ახალი კორპუსის მშენებლობა ხელს შეგვიწყობს იმაში, რომ პირველ კორპუსში კვლავ დაბრუნდეს კათედრები და კაბინეტები. მსმენია, რომ პირველ კორპუსში არსებობდა რუსთველის კაბინეტი, რომელიც ახლა მერვე კორპუსშია გადატანილი. იმედაა, რომ ეს პრობლემა დადებითად გადაწყდება“.

ბექას გამორჩეული და საყვარელი ლექტორებიც ჰყავს – გამორჩევა უჭირს, მაგრამ ელგუჯა ხინთიბიძის ლექციებს განსაკუთრებული აღტაცებით უსმენს. ასევე, საყვარელ პედაგოგებად ის ასახელებს ქალბატონ რუსუდან ზექალაშვილს, რომელმაც ქართული ენა და გრამატიკა სულ სხვა თვლით დაანახა და ქალბატონ ნესტან სულავას, რომელმაც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში შთამბეჭდავად „ამოგზაურა“.

უნივერსიტეტთან დაკავშირებით ბევრი სურვილი აქვს: მისი ოცნებაა სტუდენტური ცხოვრება უფრო მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი იყოს. „მსურს, ჩემი ყოველი დღე უნივერსიტეტში გამორჩეული და დასამახსოვრებელი იყოს. შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად აქტიური სტუდენტური ცხოვრება მაქვს და კურსელებშიც ძალიან გამომართლა, უნივერსიტეტშიც და უნივერსიტეტის გარეთ ნაყოფიერად ვატარებთ დროს. ერთად მოვიხაზულეთ მუზეუმები, მონაწილეობას ვიღებთ



შემოქმედებით სალამოეში, თავისუფალ დროს ბევრს ვსეირნობთ და ვმოგზაურობთ: დავლაშქრეთ დარიალის ხეობა, მოვიარეთ გერგეთი, გველეთის გასაოცარი ჩანჩქერი და მრავალი სხვა, თუმცა, ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ დასაწყისია და დარწმუნებული ვარ, წინ ბევრი ასეთი დღე გველის, რადგანაც სანახაო ჯერ კიდევ ბევრია!“ – ამბობს ბექა.

ბექა ბაღათურია პირველი კურსიდან აქტიურად არის ჩართული საუნივერსიტეტო ღონისძიებებში: მათ შორის, მო-

ნაწილეობდა ოთარ ჭილაძის პოეზიის საღამოს ორგანიზებაში, სადაც იდეისა და სცენარის ავტორი თავად გახლდათ.

ბექა ამაყობს, რომ თანაკურსელებთან ერთად დააარსა „თსუ ფილოლოგთა კლუბი“, რომელიც ერთდროულად აერთიანებს სხვადასხვა კურსის ქართული ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტს. „ფილოლოგთა კლუბს“ სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს. „ჩვენი პირველი ღონისძიება 8 აპრილს შედგა, გაიმართა ელგუჯა ხინთიბიძის საჯარო ლექცია თემაზე – „ვეფხისტყაოსნის სიყვარული“. გვსურს, რომ მსგავს შეხვედრებს მუდმივმოქმედი ხასიათი ჰქონდეს და სამომავლოდ გვიწვდეთ უნივერსიტეტის გამორჩეული სხვა მეცნიერებებსაც, როგორებიც არიან: მზექალა შანიძე, დამანა მელიქიშვილი, რისმაგ გორდენიანი, ლაურა გრიგოლაშვილი, ვლადიმერ მინაშვილი და სხვანი. გვსურს, რომ „ფილოლოგთა კლუბი“ გახდეს ერთგვარი ხიდი ძველ და ახალ თაობას შორის. გარდა მეცნიერებისა, გვინდა, აგრეთვე შეხვედრები გავმართოთ ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელ ღვანლმოსილ უნივერსიტეტელებთანაც“, – ამბობს ბექა.

ბექა ბაღათურიას მონაწილეობით სულ მალე უნივერსიტეტში შედგება შეხვედრა გამორჩეულ ქართველ პოეტ ლია სტურუასთან, რომელსაც 15 მაისს 86 წელი უსრულდება. „თსუ ფილოლოგთა კლუბს“ წინ დიდი კვალი დავტოვოთ ჩვენი ალმა-მატერის, ჩვენი მასაზრდოელები დედა-უნივერსიტეტის ისტორიაში...“, – ამბობს ბექა.



# ხატია იმერლიშვილი სადოქტორო ნაშრომს საუკეთესო გამოცდილებების გათვალისწინებით ქმნის

მაია ბორაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის ქმნის კარიერული წინსვლის შესაძლებლობას, რადგან ჩართულია ყველა იმ საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს აიმაღლონ კვალიფიკაცია და ეზიარონ ევროპულ განათლებას. ხატია იმერლიშვილი ერთ-ერთია, რომელმაც არაერთი გაცვლითი პროგრამით ისარგებლა და ახლა გერმანიის ქალაქ აახენში, რაინ-ვესტფალიის ტექნიკურ უნივერსიტეტში გადის სტაჟირებას.

ხატია გორის საჯარო სკოლის დასრულების შემდეგ განაგრძო სწავლა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. მისი არჩევანი საბაკალავრო საფეხურზე პოლიტიკის მეცნიერება აღმოჩნდა, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ფაკულტეტი საშუალებას აძლევდა, პარალელურად მეორე პროფესიაც აერჩია, ჟურნალისტიკის დაუფლება ცდა დაწყებულა. ახლა ფიქრობს, რომ ეს ორი პროფესია ერთად კარგ კომბინაციას ქმნის, თუმცა მომავალი მაინც პოლიტიკის მეცნიერებებს დაუკავშირდა და მაგისტრატურის საფეხურზე თსუ ამ შემთხვევაშიც უპირობო არჩევანი იყო.

ხატიასთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განსაკუთრებით კი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლისას



გატარებული პერიოდი, უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რადგან სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მისი აკადემიური განვითარება. გარემო, რომელიც უნივერსიტეტმა შექმნა, ხატია იმერლიშვილის მომავალი საბოლოოდ გამოკვეთა და მაგისტრატურის დასრულების შემდეგაც არ უცდია დოქტორანტურის საფეხურის სხვა უმაღლეს სასწავლებელში გავლა. შედეგად, 2021 წელს ჩაირიცხა პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე და დღეს პროფესორ მალხაზ მაცაბერიძის ხელმძღვანელობით მუშაობს სადოქტორო თემაზე. „ჩემი სადოქტორო ნაშრომი პოლიტიკურ კომუნიკაციასა და მარკეტინგს უკავშირ-

დება. შევისწავლი საარჩევნო სარეკლამო კამპანიების პერსონიფიცირებას საქართველოში. აღნიშნული თემა კავშირშია როგორც პოლიტიკის მეცნიერებასთან, ასევე ჟურნალისტიკასა და მასობრივ კომუნიკაციებთან, რაც ჩემი ინტერესის ორივე სფეროს მოიცავს,“ – გვითხრა მან.

ხატია ცდილობს, სადოქტორო ნაშრომი საუკეთესო გამოცდილებების გათვალისწინებით შექმნას. ის „Erasmus +“-ის პროგრამის კვლევითი სტიპენდიის ფარგლებში იმყოფებოდა რუმინეთში, ორადეას უნივერსიტეტში, სადაც რუმინული პოლიტიკის პერსონიფიცირების შესწავლის საშუალება მიეცა. გარდა ამისა, 2024 წელს გახდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის DAAD-ის ერთობლივი სასტიპენდიო პროგრამის სტიპენდიანტი. სწორედ ამ სტიპენდიის ფარგლებში მიეცა მას საშუალება – ჩატარებინა შედარებითი კვლევა გერმანიაში, ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტში. ამავე პერიოდში იგი პარალელურად ახორციელებდა კვლევით სტაჟირებას Geschwister-Scholl-ის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში (GSI).

ამჟამად ხატია იმერლიშვილი ქალაქ აახენში (გერმანია) რაინ-ვესტფალიის ტექნიკურ უნივერსიტეტში Advanced Research Opportunities Program (AROP)-ის სტიპენდიანტის სტატუსით იმყოფება და კვლევით სტაჟირებას ახორციელებს პოლიტიკურ მეცნიერ-

ებათა ინსტიტუტში (IPW). „აქ ყოველდღიურად მაქვს საშუალება – შევხედო დარგის საერთაშორისო მკვლევარებს და მივიღო მათგან რეკომენდაციები. რაც შეეხება კვლევით მიმართულებას, პროექტის ფარგლებში ვმუშაობ შედარებითი პოლიტიკის მიმართულებით და ვსწავლობ საქართველოს, გერმანიისა და თურქეთის საარჩევნო კამპანიების მახასიათებლებს. შესაბამისად, კვლევის მიგნებებსა და შედეგებს სწორედ შედარებით კონტექსტში ვაანალიზებ. ვინაიდან ჩემი სადოქტორო თემა სწორედ საარჩევნო კამპანიებს უკავშირდება, ჩემი მიზანია, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები ტრანსფორმირდეს ჩემს სადოქტორო ნაშრომში ერთ-ერთი ქვეთავის სახით, რომელიც იქნება კვლევის შედარებითი კომპონენტი. ვფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება ჩემი დისერტაციისთვის და მას მეტად სიღრმისეულს და ვალიდურს გახდის“, – ამბობს ხატია.

ცოტა ხანში, ხატია იმერლიშვილის დისერტაციის სახით, პოლიტიკური მეცნიერებები საინტერესო და ღირებულ სამეცნიერო ნაშრომს მიიღებს. მანამდე კი ის კვლავაც იმალღებს კვალიფიკაციას, ეწევა პრაქტიკულ აკადემიურ საქმიანობას რაინ-ვესტფალიის ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში და აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო ფორუმებში, კოლოკვიუმებში, ვორკშოპებსა და სხვა სამეცნიერო პროექტებში.

## მარიამ ხუბუნაიას წარმატების ეტაპები

ენიო ხაჯალია

მარიამ ხუბუნაია თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფილოლოგიის“ სადოქტორო პროგრამის „ქართველური ენათმეცნიერების“ მიმართულებაზე სწავლობს. თსუ-ში სწავლა მისი უპირველესი მიზანი იყო, რაზეც ვრცლად საუბრობს: „მასსოვს, მე-5 კლასში ვიყავი და ჩემთვის გავიფიქრე: თუ საქართველოში გავაგრძელებ სწავლას, აუცილებლად ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ვისწავლი-მეთქი. ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ოჯახმა. ყოველთვის მესმოდა ჩემი მშობლებისგან, რომ თბილისის უნივერსიტეტი – კავკასიაში პირველი ქართული უნივერსიტეტი – სხვა სიმბოლოურ დატვირთვას ატარებდა. მე, რა თქმა უნდა, მონდომებითა და შრომით მიზანს მივაღწიე და იმედებიც სრულად გამიმართლდა. თსუ-მ უდიდესი ცოდნა და გამოცდილება მომცა. აქ შევხვდი ისეთ პროფესორებს, ისეთ მისაბაძ ადამიანებს, რომლებმაც ჩემი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალეს უკეთესობისკენ და წარმატებისკენ სავალი გზებიც გამოიკვეთა“.

მარიამმა 2022 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის კურსი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით; იმავე წელს სწავლა გააგრძელა მაგისტრატურაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ქართველური ენათმეცნიერების“ მიმართულებით. მან ეს საფეხურიც წარჩინებით დაასრულა 2024 წელს.

ორივე საფეხურზე სწავლის პერიოდ-



ში იყო თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტიპენდიანტი. „მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში მოვიპოვე შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტიპენდია: გავიმარჯვე მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი ინდივიდუალური პროექტის (MR-23-183) საგრანტო კონკურსში; დასახელებული პროექტის ფარგლებში მოვამზადე და დავიცავი სამაგისტრო ნაშრომი. აღნიშნული ნაშრომი ამჟამად წარდგენილი მაქვს ენის ეროვნული ინსტიტუტისათვის ევროპის ფედერაციის (EFNIL) მიერ საუკეთესო სამაგისტრო ნაშრომის გამოსავლენად გამოცხადებულ კონკურსზე (წარმატებით გაიარა პირველი ეტაპი და ველოდებით შედეგს); კონკურსის წესით გავაგრძელებ სწავლა დოქტო-

ორივე საფეხურზე სწავლის პერიოდში იყო თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტიპენდიანტი.

რანტურაში. წლებია აქტიურად ვმონაწილეობ ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, საერთაშორისო სეზონური სკოლების მუშაობაში და მიღებული მაქვს შესაბამისი აქტივობების დამადასტურებელი სერტიფიკატები; გამოქვეყნებული მაქვს სამეცნიერო სტატიები მაღალრეიტინგულ პერიოდულ გამოცემებში. ვმუშაობ სადოქტორო დისერტაციაზე და, ამავ დროს, ახალგაზრდა მკვლევარის სტატუსით ჩართული ვარ ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ პროექტში (FR-24-1355). პროექტი ხორციელდება თსუ-ში, ქართული ენის ს/ს ინსტიტუტის ბაზაზე და ჩემს პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მასში მონაწილეობა დიდი პატივი და საუკეთესო შესაძლებლობაა ჩემთვის“, – გვიყვება მარიამი.

დროის გამოხატვის ენობრივი საშუალებებით იგი ჯერ კიდევ საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობს და ინტერესდა; ახლანდელი ფარული დროის გამო მხატვრული ფორმები და მათი ფუნქციური დატვირთვა გაანალიზა ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვით; ამ მიმართულებით მუშაობა გააგრძელა მაგისტრატურაში: ქართული და მეგრული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების

შედარებითი კვლევის საფუძველზე დაწერა სამაგისტრო ნაშრომი, რომელშიც განხილული იყო მეტრიკული დროის გამომხატველი ენობრივი საშუალებები. მისი სადოქტორო თემაც დროის უნივერსალურ კატეგორიას მიეძღვნება ქართველურ ენებში.

ვინც ასწავლიდა, მარიამს ყველა ლექტორი უყვარს და პატივს სცემს მათი პროფესიონალიზმისა და პიროვნული თვისებების გამო. „გამოვეყო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს – ქალბატონ მაია ლომიას. მასთან პირველი შეხვედრისას ვიგრძენი, რომ მომთხოვნი და სამართლიანი ლექტორი იყო; ამასთან ერთად, დაულაღვად ზრუნავდა სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე: არაერთ საინტერესო პროექტსა და საკონფერენციო თემების პრობლემატიკაზე გვესაუბრებოდა; ყურადღებას იქცევდა ისიც, რომ ბევრი მაგისტრანტი და დოქტორანტი ჰყავდა, რომლებსაც ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებთან საქმიან ურთიერთობას არეგდა და ასწავლიდა; მივხვდი, რომ ქალბატონი მაიასთვის სტუდენტის წარმატება უპირველესი მიზანი იყო და მის გვერდით მეც ბევრ რამეს ვისწავლიდი. ენათმეცნიერების კომპეტენციის თითქმის ყველა საგანი მაია ლომიასთან გავიარე და შემდგომ მისივე ინიციატივითა და რეკომენდაციით სწავლა გააგრძელებე ჯერ მაგისტრატურაში, შემდეგ დოქტორანტურაში“, – აღნიშნავს მარიამ ხუბუნაია.

მისი სამომავლო გეგმები სადოქტორო დისერტაციის დროულად დასრულებას და წარმატებით დაცვას უკავშირდება, უმთავრეს მიზანად კი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენა მიაჩნია.



# ჰუმანიტარების კონფერენცია თსუ-ში

6060 ჩარაპინი

„დიდი სამამულო 1941-1945 წ.წ./მეორე მსოფლიო ომი და ქართული მწერლობა“ – ამ სახელწოდებით გაიმართა თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც 22-23 მაისს მიმდინარეობდა. ღონისძიების იდეის ავტორი და სულისჩამდგმელი პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე გახლდათ.


ქართველმა მეცნიერებმა მოხსენებები წარმოადგინეს იმ ქართველი მწერლების შემოქმედების შესახებ, რომელთა პროზასა თუ პოეზიაშიც მეორე მსოფლიო ომი ასახულია. სხვადასხვა მოხსენებელმა მიმოიხილა ოტია იოსელიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ კვესელავას, გიორგი ლეონიძის და სხვა მწერლების ნაწარმოებები ომის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ ღონისძიებაზე მოხსენებებით წარსდგნენ იოსებ სტალინის სახელმწიფო მუზეუმის და მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმის წარმომადგენლებიც.

კონფერენცია თსუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გახსნა. მან ომში მონაწილე ქართველი მეომრების როლს გაუსვა ხაზი და, გარდა ამისა, იმ მდიდარ საარქივო მასალაზე ისაუბრა, რომელიც ახალგაზრდებს შესაძლებლობას აძლევს – ეს მიმართულება საკუთარი კვლევის თემად აქციონ და საინტერესო ნაშრომები დაწერონ.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“-ს თაობაზე თსუ-ს ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ მთელი ფაკულტეტი, ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად, ჩართული იყო კონფერენციის ორგანიზებაში. „ყველა თაობას ახალი სათქმელი აქვს ქართულ მწერლობასთან დაკავშირებით. ჩვენი კონფერენციის მნიშვნელოვანი სიახლე სწორედ ესაა – ახალგაზრდების თვალთვალის დახმარებით და სხვაგვარად შეფასებული ჩვენი უახლესი ისტორიული ნარსული“, – განმარტა დეკანმა.

კონფერენციის მნიშვნელობაზე თავად იდეის ავტორს ვკითხეთ. „რადგან წელს მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 80 წელი შესრულდა, ჩავთვალე, რომ უეჭველად უნდა გამოვხმაურებოდი ამ საიუბილეო თარიღს – დიდი ქართული მწერლობა მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამ თვალსაზრისითაც. მასპინძელი, რასაკვირველია, ჩვენი უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო. მინდოდა, ამ ყოველივეს მასშტაბური ხასიათი ჰქონოდა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით და საგულისხმო მოხსენებები წარმოადგინეს. სამეცნიერო კონფერენციის მიზანი ზოგადადაც ხომ ეს გახლავთ – სხვადასხვა მოსაზრების და ახლებურად ნაკითხვის, გაანალიზების, დაფიქრების შესაძლებლობა. ვფიქრობ, მუშაობაც სწორედ ასე წარიმართა“, – განაცხადა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ას-



ოცირებულმა პროფესორმა რუსუდან ნიშნიანიძემ.

ღონისძიების დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, გაცნობოდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ქართველი მწერლების „მცირე ანთოლოგიასაც“, რომელიც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა მოამზადეს კონფერენციის ფარგლებში. 23 მაისს სწორედ სტუდენტების მონაწილეობით გაიმართა წიგნის პრეზენტაცია-პერფორმანსი. ანთოლოგიის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა (ანთოლოგიის რედაქტორი – რ. ნიშნიანიძე). წიგნის წარდგინება სამეცნიერო კონფერენციით დასრულდა და მასში ამჯერად ახალგაზრდები, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ფორუმი, რომელიც კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, რომ „ჭაბუკებად დარჩენილი“ უნიჭიერესი პოეტების ხელნაწერები და წიგნები კიდევ ერთხელ მოექცა სხვადასხვა თაობის სამეცნიერო კვლევის, დაფიქრების და ხელახლა ნაკითხვის აუცილებლობის არეალში.

## რა მიზნით ესტუმრნენ პომერანიის უნივერსიტეტს პროფესორები – ირაკლი ბურდული და ნათია ჩიტაშვილი?

თსუ-ს დავის ალტერნატიული მოგვარების ეროვნული ცენტრის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი ირაკლი ბურდული და აკადემიური დირექტორი, პროფესორი ნათია ჩიტაშვილი სამეცნიერო და სასწავლო-აკადემიური ვიზიტით ესტუმრნენ პოლონეთში მდებარე სლუჰსკის პომერანიის უნივერსიტეტს. ვიზიტის ფარგლებში თსუ-ს პროფესორებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში და ჩაატარეს სასწავლო აქტივობები მედიაციის მიმართულებით.

თსუ-ს ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით, 2024 წელს პომერანიის უნივერსიტეტში მედიაციის ცენტრი დაფუძნდა, რომელიც მიზნად ისახავს მედიაციის სფეროში განათლებისა და პრაქტიკის განვითარებას. აღნიშნული ცენტრი უკვე ახორციელებს სამეცნიერო და პრაქტიკულ აქტივობებს და წარმოადგენს ქართულ-პოლონური თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითს.

თსუ-ისა და სამხრეთ ტექსასის სამართლის სკოლის მხარდაჭერით, სლუჰსკის უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „Mediation and alternative dispute resolution as mechanisms and instruments of civil society. History, present and future“ (მედიაცია და დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როგორც სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმი და ინსტრუმენტი: ისტორია, თანამედროვეობა და მომავალი). ღონისძიებაზე მოხსენებით წარსდგნენ თსუ-ს დავის ალტერნატიული მოგვარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, ასევე პოლონელი, ამერიკელი და სხვა ქვეყნების ნამყვანი მეცნიერები.

ვიზიტის ფარგლებში, თსუ-ს პროფესორმა ნათია ჩიტაშვილმა სლუჰსკის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა ინტენსიური სასწავლო კურსი მედიაციაში ინგლისურ ენაზე. კურსი დაფუძნებული იყო თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკასა და თეორიაზე და მიზნად ისახავდა სტუდენტებისთვის მედიაციის უნარებისა და ძირითადი პრინციპების შესწავლას.

მედიაციის სფეროში აღნიშნული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია პომერანიის უნივერსიტეტში პირველად ჩატარდა და მისმა წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა მსგავს ღონისძიებათა ყოველწლიურად გამართვას. დაგეგმილია ქართველი, პოლონელი და ამერიკელი პროფესორებისა და სტუდენტების ერთობლივი მონაწილეობით მომავალში აკადემიური და პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მედიაციის განვითარებას როგორც საქართველოში, ისე პოლონეთში.



# ეკა ვარდოშვილი პარიზ სიტეს უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა

6060 ჯაუალია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ეკა ვარდოშვილმა, რომელიც ოფიციალური მინვეით საფრანგეთის პარიზ სიტეს (Paris Cite) უნივერსიტეტში იმყოფებოდა, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში. კონფერენციის სახელწოდება იყო: „ნაციონალური იდენტობის ახალი პერსპექტივები კულტურაში, ენაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში“. ეკა ვარდოშვილმა კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება – „ქართული იდენტობის კავშირი ფრანგულ ლიტერატურასთან“.

„ლიტერატურა, როგორც სინამდვილის ასახვის მხატვრული ფორმა, გამოხატავს ეპოქის მაჯისცემას, ეროვნულ ტენდენციებს, სოციალურ პრობლემებს, პიროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ქართული ლიტერატურის, როგორც იდენტობის, ერთ-ერთი მახასიათებლის კავშირს ფრანგულ ლიტერატურასთან პირველად მეცნიერულად განიხილავს და ასაბუთებს ცნობილი ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე კიტა აბაშიძე ფერდინანდ ბრიუნეტიერის ნაშრომის – „ეკოლოჯია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX საუკუნეში“ – თარგმნის დროს. თარგმანში კიტა აბაშიძე ჟან-ჟაკ რუსოს, ბერნარდ დე სენ-პიერის, შატობრიანის, ჰიუგოს, დე-ვინის, ლამარტინის, ფლობერის შემოქმედების გვერდით განიხილავს ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას და ცდილობს – ქართული ლიტერატურა დაუკავშიროს ფრანგულს. კიტა აბაშიძე თვლის, რომ



ქართული პოეზია თავისი არსით მსოფლიო პოეზიის განუყოფელი ნაწილია და თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდება მსოფლიო შედეგებს.

საზოგადოდ ცნობილია, რომ „ეტიუდების“ წერისას, აბაშიძე ეყრდნობოდა ბრიუნეტიერის ნაშრომს – „გვართა ეკოლოჯია ლიტერატურის ისტორიაში“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ასევე იყენებდა აღნიშნულ ნაშრომსაც, კერძოდ: „ეკოლოჯია სალირიკო პოეზიისა საფრანგეთში XIX“. ბრიუნეტიერმა თავის შრომებში პირველმა დასვა ერთიანი „ევროპული ლიტერატურის“ არსებობის საკითხი. ამით მან, ფაქტობრივად, აღიარა გლობალიზაცია და კულტურული ინტეგრაცია ლიტერატურულ პროცესებში, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე კომპარატივისტული კვლევებისას. კიტა აბაშიძე აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურაც თავისთავად ჩართული იყო ამ პროცე-

სებში „თუ დაფუძნდებით ჩვენი ლიტერატურის მსვლელობას, ნახავთ, რომ იგი კვალდაკვალ მისდევდა ევროპის ლიტერატურას“ (აბაშიძე).

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთშიც ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს მიმართ. ამას მოწმობს ჟან შარდენის, ალ. დიუმას, ჟაკ ფრანსუა გამბას, ჟიულ კლაროტის, ბარონ დე ბაის და სხვათა შრომები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. მნიშვნელოვანია ისიც, „1821 წელს პარიზში დაარსდა აღმოსავლეთის შემსწავლელი „აზიური საზოგადოება“ („Société Asiatique“). აბაშიძის თარგმანებმა დიდი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო აზროვნების განვითარების ისტორიაში და მიუთითებენ ღრმა, შინაგან კავშირზე ქართულ იდენტობასა და ფრანგულ ლიტერატურას შორის“, – აღნიშნავს ეკა ვარდოშვილი თავისი მოხსენების ძირითად ასპექტებზე საუბრისას.

პროფესორი 2014 წლიდან მუშაობს ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე და ცდილობს აჩვენოს, რომ ქართული ლიტერატურა ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილია, რაც დღეს ძალზედ აქტუალურია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოსა და უცხოეთში გამოცემული ეკა ვარდოშვილის მონოგრაფიები: „ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან“ (თბილისი, 2022, გამომცემლობა: „უნივერსალი“), „Georgian-European Literary Relations (Georgian-European Literary Relations in the 19th Century)“ (LAP LAMBERT Academic Publishing, Berlin, 2022), „ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა“ (თბილისი, 2018, გამომცემლობა: „უნივერსალი“) და სხვ.



# ირინა აქუბარდიას ახალი წიგნი – „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელი“ – გამოიცა

ენო ხაუალია

გამოიცა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ირინა აქუბარდიას წიგნი – „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელი“ (გამონევენები და ტენდენციები). ნაშრომის რედაქტორია თსუ-ს პროფესორი, სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი მაია ივანიძე.

საზღვარგარეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს ათასწლოვანი ისტორია გააჩნია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელი საკმარისად შესწავლილი არ არის. მიუხედავად არაერთი კვლევისა, ქართულენოვანი ლიტერატურა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით საკმარისად მწირია. ირინა აქუბარდიას წიგნი წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელის საფუძვლიანი შესწავლის მცდელობას.

წიგნში გადმოცემულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსი, განსჯადობა, ნაფიც მსაჯულთა შერჩევა, სხდომის თავმჯდომარის განმარტებები ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსადმი, ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი, სასჯელის დანიშვნა და გასაჩივრება, სამართლიანი სასამართლოს თანაფარდობა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობასთან; გამოკვლეულია ნაფიც მსაჯულთა მიუკერძოებლობის გარანტიები და ის საფრთხეები, რამაც შესაძლოა, ნაფიც მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ნეგატიური გავლენა მოახდინოს; გაანალიზებულია სასამართლო პრაქტიკა; ასევე, განხილულია „ნულიფიკაციის“ პრობლემა და ნაფიც მსაჯულთა „უუნარობა“, მედიის გავლენა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს როგორც პოზი-



**წიგნი – „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელი“ – განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, პრაქტიკოსი მუშაკებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.**

ტიური, ასევე ნეგატიური ასპექტები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ ცნობიერების ამაღლების, საზოგადოების ნდობის გაზრდის საკითხები, მოქმედი რეგულაციების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან, გამონევენები და თანამედროვე ტენდენციები.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსის უკეთ გაგების მიზნით, წიგნში ნა-



**ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსის უკეთ გაგების მიზნით, წიგნში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი განხილულია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის ჩრდილში, არამედ ამერიკისა და სხვადასხვა დასავლური სახელმწიფოს კანონმდებლობასთან პარალელური გავლენების გზით.**

ფიც მსაჯულთა ინსტიტუტი განხილულია არა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის ჩრდილში, არამედ ამერიკისა და სხვადასხვა დასავლური სახელმწიფოს კანონმდებლობასთან პარალელური გავლენების გზით.

„ნაშრომის მიზანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ეფექტიან ფუნქციონირებასთან მიმართებით არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების ძიება ამ ინსტიტუტის განვითარებისა და სრულყოფის უზრუნველსაყოფად, გამოკვლევა იმისა, თუ როგორ უნდა გარდაიქმნას და დაიხვეწოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებული მოდელი მისი ძირითადი სტრუქტურის შეცვლის გარეშე.“

ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი, ასევე,

გახლავთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება, საზოგადოებისათვის დახმარების განწევა, რათა მოქალაქეებმა გაიაზრონ ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში შესაძლოა თითოეულ მათგანს დაეკისროს ნაფიცი მსაჯულის მოვლეობის შესრულების სახით“, – აღნიშნავს წიგნის ავტორი.

ცნობისთვის: როდესაც მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო სასამართლო სისტემის რეფორმა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების იდეის პარალელურად გაჩნდა მოსაზრება, რომ „ქართული საზოგადოება არ არის მზად ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსათვის და რომ არ გააჩნია ასეთი სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ტრადიცია“. ამის მიუხედავად, 2004 წელს ჯერ კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ, შემდეგ 2009 წლის ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა დეტალურად მოაწესრიგა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცედურები. 2010 წლიდან საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოც ამოქმედდა.

როგორც წიგნშია მითითებული, ავტორი ასკვნის, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამართულად და ეფექტურად ფუნქციონირებისთვის, მისი განვითარებისა და გაძლიერებისათვის აუცილებელია დახვეწილი კანონმდებლობის არსებობა, მხარეთა მომზადების მაღალი დონე, მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლება და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

წიგნი – „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ქართული მოდელი“ – განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების, პრაქტიკოსი მუშაკებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

## პროექტზე – „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“ – მეცნიერთა ჯგუფი მუშაობს

პროექტი

ენო ხაუალია

ღასრულდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტი „სამცხის რეგიონის ისტორიის და კულტურის ძეგლები“ (სახელმწიფო გრანტი საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის).

პროექტში მონაწილეობა მიიღეს როგორც თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის და ხელოვნების ისტორიის და თეორიის ინსტიტუტების, ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა. ხელმძღვანელი – თსუ-ს პროფესორი ნინო სილაგაძე. მონაწილეები – ბონდო კუპატაძე, თამაზ გოგლაძე, ელისაბედ უგულავა, გიორგი ბაგარქიანი, გია ჩილინგარაშვილი.

პროექტი გულისხმობს ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე (თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით – ადიგენის, ასპინძის, ახალციხის რაიონები) არსებული ისტორიის და კულტურის



ძეგლთა (ეკლესია-მონასტერი, მეჩეთი, სხვა საკულტო ნაგებობები, ციხე-სიმაგრე, კოშკი, ნანგრევი, დარბაზი, დარანი, ისტორიული შენობა-ნაგებობა, ეპიგრაფიკული ნიმუში, მონუმენტური ფერწერის ნიმუში და სხვ.) სრულ აღწერას, ფოტო-ვიდეო-ფიქსაციას, არქიტექტურული გეგმების, ანაზომების და ჭრილების მომზადებას, წარწერების (ეპიგრაფიკული, ლაპიდარული, ნაკანრი) ნაკითხვას და აკადემიურ დონეზე პუბლიკაციას, ისტორიის და ხელოვნებათმცოდნეობითი ნარკვევის მომზადებას თითოეულ ძეგლზე. ძეგლთა რაოდენობა 350-ზე მეტია. ამჟამად მზადდება ენციკლოპედიური ხასიათის კრებული დასაბუქდად.



„პროექტის უმთავრესი სიახლე და ანალოგიურ კვლევებთან შედარებით უპირატესობად მიგვაჩნია შემდეგი გარემოებები:

1. სამცხის კულტურული მემკვიდრეობა დღემდე არ ყოფილა კომპლექსური და ერთიანი შესწავლის საგანი. შედეგი – ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა სამცხის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მნიშვნელოვანი იქნება ქართველოლოგიის და, ზოგადად, ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის;

2. კვლევის მრავალსპექტრულობა. მკვლევართა შერეული გუნდი უზრუნველყოფს კულტურის ძეგლების კომპლექსურად შესწავლას ხელოვნებათმცოდნეობითი, ისტორიული, ისტორი-

ულ გეოგრაფიული, არქიტექტურული, ეპიგრაფიკული თვალსაზრისით.

3. სამცხის კულტურული მემკვიდრეობის თაობაზე დაიბეჭდება პუბლიკაცია; აგრეთვე, ის ერთიანი საინფორმაციო ბაზის სახით ხელმისაწვდომი იქნება ციფრულად სამეცნიერო წრეებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

საინტერესოა, რომ სამცხის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის დღემდე რჩება საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ფენომენები და ასევე ძეგლები და ძეგლთა ჯგუფებიც კი, რომლებიც მეცნიერული კუთხით ნაკლებად შესწავლილია. ასეთია, მაგალითად, ცალკეული ეპიგრაფიკული ნიმუში, კლდეში ნაკვეთი ზოგიერთი სამონასტრო თუ საცხოვრებელი კომპლექსი, შუა საუკუნეების არქიტექტურის ცალკეული ნიმუშები და ასევე მესხეთის ისლამური კულტურის მემკვიდრეობა – მეჩეთები და სამაროვნები. ყველა ეს კვლევა თავმოყრილი იქნება ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) გამოცემაში“, – აღნიშნავს პროფესორი ნინო სილაგაძე.



# უნივერსიტეტის ოქროს მედალი ილია თავხელიძეს გადაეცა


მაია ტორაძე

24 აპრილს ილია ვეკუას სემინარის გაფართოებულ სხდომაზე უნივერსიტეტის ოქროს მედალით დაჯილდოვდა თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ილია თავხელიძე. მისი ნაშრომები არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა სამეცნიერო აღიარების საფუძველი: იგი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ილია ვეკუას სახელობის პრემიის ლაურეატი (1983 წ.); მინიჭებული აქვს უკრაინის მათემატიკოსთა კონგრესის ნიკოლოზ ბოგოლიუბოვის სახელობის „ოქროს“ მედალი (2009 წ.), ამჯერად კი, ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებისა და ღირსეული უნივერსიტეტელობის ნიშნად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედალი გადაეცა.

ილია თავხელიძე თხემით ტერფამდე უნივერსიტეტელია. ამიტომაც, კითხვაზე – რას ნიშნავს მისთვის ოქროს მედალით დაჯილდოება, ვერც ჩვენ და ვერც ბატონი ილია ვერ ავუვლიდით გვერდს ფესვებს, რომელზეც ის, როგორც მათემატიკოსი, მეცნიერი, პედაგოგი და მესამე თაობის უნივერსიტეტელი, მყარად დგას. ამიტომაც, ალბათ, ყველაზე მართებული იყო მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ომარ ფურთუხიას და დიფერენციალური განტოლებების კათედრის გამგის, პროფესორ თამაზ თადუმაძის არჩევანი – ამ საპატიო ჯილდოზე რეკომენდაცია გაენიათ მეცნიერისა და მასწავლებლისთვის, რომელიც ყველაზე ახლოს დგას უნივერსიტეტის მისიასთან.

რეკომენდაციაში, რომელსაც ომარ ფურთუხია და თამაზ თადუმაძე აწერენ ხელს, მინიშნებულია: „ილია თავხელიძე თსუ-ში კითხულობს ლექციების კურსებს: კერძონარმოებულის დიფერენციალური განტოლებები (ბაკალავრიატი, სავალდებულო); განზოგადებული ფუნქციები და მათი გამოყენებები (ბაკალავრიატი, არჩევითი); ინტეგრალური განტოლებები და საკუთრივი რიცხვები (მაგისტრატურა, არჩევითი); კალკულუს V (ბაკალავრიატი, სავალდებულო); მათემატიკის ელემენტები ბუნებასა და ხელოვნებაში (ბაკალავრიატი, საუნივერსიტეტო კურსი, არჩევითი). უკანასკნელი სალექციო კურსი იმდენად ორიგინალურია, რომ მისი ანალოგი მსოფლიოში არ მოიპოვება“.

მათემატიკოსი, რომელმაც ზუსტი



მეცნიერება ხელოვნებად აქცია

რას ნიშნავს ილია თავხელიძისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედალი? ამ კითხვაზე პასუხში მკითხველი უთუოდ ამოიკითხავს ნინაპრებისა და მშობლიური უნივერსიტეტისადმი მონივნებას:

– მე დავიბადე „უნივერსიტეტელების“ ოჯახში და წარმოუადგენ იმ ოჯახის მესამე თაობას, რომელიც, გარემოებათა მიუხედავად, მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მედალი ჩემთვის და ჩემი ოჯახის წევრებისათვის არის ღვაწლის დაფასების უმაღლესი ჯილდო.

**ბაბუა, ილია ვეკუა**, იყო და არის ჩემთვის მეცნიერული მოღვაწეობისა და ცხოვრებისეული სიბრძნის მაგალითი. ის დღემდე „უხილავად“ ესწრება ჩემს სამეცნიერო მოხსენებებს და არის ჩემი უაღრესად კრიტიკული, მაგრამ კეთილგანწყობილი მსმენელი! ის, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო ვერც ჩემს პროფესიულად აღიარებას და ვერც ამ საპატიო ჯილდოს!

**ბებია, სოფიო (ქსენია) ჭუბაბრია** – ქიმიის ფაკულტეტის ლაბორანტი (ამ ლაბორატორიაში მეორე მსოფლიო ომის დროს მზადდებოდა ტანკსანინაალმდეგო აალებადი მასალები) – ნაადრევად გარდაიცვალა. მე მხოლოდ ლეგენდებს მოვესწარი მასზე.

**დედა, ლამარა ვეკუა** – თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის უფროსი მასწავლებელი, მთელი პლავადა სტუდენტების ერთ-ერთი უსაყვარლესი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი. ისიც არის დღემდე ჩემი „უხილავი“ დამრიგებელი სტუდენტებთან ურთიერთ-


ბაში. მე მგონია, რომ დედაჩემისათვის ეს ჯილდო იქნებოდა უდიდესი სიხარულისა და სიამაყის საბაზი. ძალზე სიმბოლურია, რომ ეს მედალი დედაჩემის დაბადების დღეს 24 აპრილს გადმომეცა!

**მამა – ნოშრევან თავხელიძე**, ბიოფიზიკოსი ბიოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მრავალმხრივად განათლებული და დიდი იუმორით აღსავსე ადამიანი! მან შემაყვარა მეცნიერება და პრობლემისადმი მეცნიერული და არა ემოციური მიდგომა!

**ბიძა, მამაჩემის ძმა – ალბერტ (ალექო) თავხელიძე**, ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, თსუ-ს სტუდენტი და შემდგომ პროფესორი. მან, როგორც პროფესორმა, დამანახა დიპლომანტებთან და ასპირანტებთან მუშაობის დაუვიწყარი მაგალითები. მისი სიტყვებია – „მეცნიერებაში მე მოსწავლეს არ ვეძებ, მე მინდა ვიპოვო თანამოაზრე კოლეგა და, შეძლებისდაგვარად, მის დახვეწაში მივიღო მონაწილეობა“!

ზემოთ ნათქვამიდან ნათლად ჩანს, თუ რამხელა ფასეულობას წარმოადგენს ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის უნივერსიტეტის კოლექტივის დაფასება, რაც განსახიერებელია თსუ-ს ოქროს მედალში!

ამჟამად ილია თავხელიძის ინტერესების სფეროა – მოცულობითი და ზედაპირული კვანძებისა და ხლართების სტრუქტურა, რომელშიც წამყვან როლს ასრულებენ ე.წ. „განზოგადებული მები-უს-ლისტინგის“ სხეულები (პრობლემა პოპულარულად ასე ყალიბდება: კლასიკურ მებიუსის ლენტს თუ გავჭრით „სიმეტრიის ნირის გასწვრივ“, მიიღება ერთი სხეული; „განზოგადებული მები-



2025 წლის 6 თებერვალს ილია თავხელიძეს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. მის სტუდენტებს კიდევ მრავალი წელი ექნებათ ბედნიერება – უსმინონ და ისწავლონ ადამიანისგან, რომელმაც მათემატიკის ზუსტი მეცნიერება ხელოვნებად აქცია.

უს-ლისტინგის“ სხეულის ამგვარი გაჭრის შედეგად მიიღება ერთი ან რამდენიმე სხეული, რომელთა „დათვლა“ და ცალ-ცალკე მათი „გეომეტრიის“ შესწავლა შესაძლებელია იმის მიხედვით, თუ როგორაა გაჭრილი ეს სხეული. მაგალითად, ერთი გაჭრით მიიღება 4 სხეული, რომელიც ნახატზე სხვადასხვა ფერითაა მოცემული, თანაც თითოეულ მათგანს სხვადასხვა გეომეტრიული მახასიათებლები აქვთ!)

ილია თავხელიძის თქმით, აღნიშნული მიმართულებით მიღებულ შედეგებს საკმარისად დიდი გამოხმაურება აქვს არა მარტო მათემატიკურ წრეებში. ამ მიმართულებით მას მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სხვადასხვა დარგისა და ქვეყნის მეცნიერებთან. მათ შორის არიან: პროფესორი პაოლო ემილიო რიჩი (მათემატიკოსი, რომის უნივერსიტეტი, თსუ ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, იტალია); იოჰან ჰილისი (ბოტანიკოსი, ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია); დიეგო კარატელი (მათემატიკოსი, ეინდჰოვენის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები); სანდრა პინელასი (მათემატიკოსი, ამადორას სამხედრო აკადემია, პორტუგალია); პროფესორი მამანტი როგავა (ექიმი, უნივერსიტეტი „გეომედი“, საქართველო).

2025 წლის 6 თებერვალს ილია თავხელიძეს დაბადებიდან 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. მის სტუდენტებს კიდევ მრავალი წელი ექნებათ ბედნიერება – უსმინონ და ისწავლონ ადამიანისგან, რომელმაც მათემატიკის ზუსტი მეცნიერება ხელოვნებად აქცია.

# პროფესორი ზვიად კვიციანი თსუ-ს ოქროს მედალით დაჯილდოვდა

ენიო ხაჯალია

თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ზვიად კვიციანი 2024 წელს თსუ-ს ოქროს მედალით დაჯილდოვდა. ზვიად კვიციანი გახლავთ არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის კათედრის გამგე, საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ-ს სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა სავლე-სასწავლო პრაქტიკის ხელმძღვანელი, არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეცნიერ-ხელმძღვანელი, კონფერენციების (კონგრესების, სიმპოზიუმების) საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, სამეცნიერო და სადისერტაციო საბჭოების წევრი, სადისერტაციო კოლეგიების წევრი,



მუდმივმოქმედი საერთაშორისო სამეცნიერო სემინარის – „არქეოლოგია XXI საუკუნეში“ – ორგანიზატორი, თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-

ტეტის სტუდენტური გაზეთის – „არქეოლოგი“ – დამფუძნებელი. წლების მანძილზე იყო 80-მდე სამეცნიერო ექსპედიციის წევრი, ხელმძღვანელი, მათ შორის, საერთაშორისო ექსპედიციებისა. გახლავთ 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 4 მონოგრაფიისა და 1 სახელმძღვანელოს ავტორი.

„როდესაც თსუ-ს არქეოლოგიის ს/ს ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა დამირეკა და მითხრა – მომდევნო დღეს თსუ-ში მივსულიყავი, მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი. არც კი ვიცოდი, რა საკითხზე იყო შეხვედრა. ოქროს მედალის გადმოცემის მომენტის ემოციები იმდენად დიდი იყო, რომ პირველი რეაქცია – სიხარული – ვერ განვიცადე. ნებისმიერი უნივერსიტეტელისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედალით დაჯილდოება, ალბათ, ყველაზე დიდი პატივია. წარმოიდგინეთ, 15 წლის ასაკში გავხდი თსუ-ს სტუდენტი

და ამ დრომდე ვარ უნივერსიტეტში – შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება აქ გავატარე. უნივერსიტეტი ჩემთვის სულიერების მწვერვალია. მანამდე მე ვიყავი საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიის პირველი ლაურეატი, მაგრამ ის ამ ჯილდოსთან შედარებით ჩემთვის არაფერი იყო. სიმართლე გითხრათ, ორჯერ, სამჯერ და უფრო ბევრჯერ მეტი ჰონორარიც რომ შემომთავაზონ სხვა სასწავლებელში, არ წავალ. რა თქმა უნდა, ეს ჯილდო მეტ პასუხისმგებლობას მაკისრებს და სტიმულს მაძლევს – კიდევ უფრო მეტი ვაკეთო უნივერსიტეტისთვისა და ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის. უღრმეს მადლობას ვუბნებ ყველა იმ ადამიანს – თსუ-ს რექტორიდან, ჯაბა სამუშიადან დაწყებული რიგითი თსუ-ელით დამთავრებული, ვინც ასე დააფასა ჩემი მოღვაწეობა“, – აღნიშნავს პროფესორი ზვიად კვიციანი.



# ბიბლიოთეკარის დღისადმი მიძღვნილი საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი თსუ-ში გაიმართა

თამარ ღვინია

30 აპრილს საქართველოში ყოველწლიურად აღინიშნება ბიბლიოთეკარის დღე. ამ დღეს მიეძღვნა საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ გახსნა.

ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სახის ლიტერატურული, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო ღონისძიება გაიმართა, რომელთა მიზანი იყო სამეცნიერო-აკადემიური და მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია, ცოდნისა და ხელოვნების გაზიარება, ღონისძიებაში სტუდენტებისა და საზოგადოების ფართო წრეების ჩართულობა. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა უნივერსიტეტის გამომცემლობის წიგნების გამოფენა-გაყიდვა ფასდაკლებით; ასევე, გაიმართა ახალი გამოცემების პრეზენტაციები.

„საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაარსდა. წელს ფესტივალზე წარმოდგენილია ბოლო 2 წლის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული 500-მდე წიგნი, მათ შორის სახელმძღვანელოები. ჩვენს პროფესორებს თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სახელმძღვანელოები და კვლევითი ნაშრომები აქვთ გამოცემული. თსუ საქართველოში ლიდერია ამ მიმართულებით. ვფიქრობ, ახალი პროექტით, რომელიც ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნას, კიდევ უფრო შევუწყობთ ხელს ახალი წიგნების მომზადება-გამოცემას“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ.

ღონისძიებაზე თსუ-ს რექტორმა თსუ-ს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ბიბლიოთეკარის დღე მიულოცა და 2



ღვანულმოსილი ბიბლიოთეკარი – ლიანა ცანკაშვილი და ნაზი კაპანაძე უნივერსიტეტის მედლით დააჯილდოვა.

„ბიბლიოთეკარის პროფესიული დღე საქართველოში 2003 წლიდან აღინიშნება, ამ დღეს უნივერსიტეტშიც ყოველწლიურად ვზეიმობთ. წელს ჩვენ გავსვენით ჩვენი საცავები და გამოფინეთ ის პირველი, უძველესი გამოცემები, რომელიც დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტის გახსნის დღიდანვე უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დაიწყო ზრუნვა სამეცნიერო ნაშრომების გამოცემაზე და საფუძველი ჩაეყარა საუნივერსიტეტო წიგნების გამოცემას“, – აღნიშნა თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო თსუ-ს გამომცემლობის წიგნები. გამოფენა სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილ ბოლო წლების საინტერესო და მნიშვნელოვან გამოცემებს აერთიანებდა.

გამომცემლობის ეფექტიანი საქმიანობის დასტურია ის, რომ აღარ არის დეფიციტური ის სახელმძღვანელოები, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა სწავლის დასაწყისში. თსუ-ს რექტორის ინიციატივა – ფაკულტეტებმა წარმოადგინონ სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ჟურნალები, წარმატებით ხორციელდება. მიმდინარეობს მოლაპარაკება წიგნების გამავრცელებლბთან და სხვა მალაზიებთან, რათა თსუ-ს გამომცემლო-



## „ოპერა შენს ქალაქში“

საუნივერსიტეტო წიგნის ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ქართული საოპერო მუსიკის კონცერტი – „ოპერა შენს ქალაქში“. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტებმა თსუ-ში შეასრულეს ცნობილი საოპერო არიები. კონცერტზე შედგა პრემიერა მუსიკალური ნაწარმოებისა „ოდა უნივერსიტეტს“, რომელიც 1968 წელს კომპოზიტორმა რევაზ ლაღიძემ უნივერსიტეტის 50 წლისთავისთვის შექმნა. სხვა მუსიკალურ ნომრებთან ერთად, საღამოზე შესრულდა „იავნანა“, რომელიც ზაქარია ფალიაშვილმა ივანე ჯავახიშვილს მიუძღვნა.

საოპერო მუსიკის კონცერტს ესწრებოდნენ თსუ-ს რექტორი ჯაბა სამუშია, საქართველოს განათლების, მეცნიერ-



ებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ ღვამიჩავა, თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე, უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები, ადმინისტრაციის თანამშრომლები.



კონცერტში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრი „სხვენი“ წევრები, რომელთაც წარმოადგინეს ივანე ჯავახიშვილის, ზაქარია ფალიაშვილის და ქართული საოპერო სამყაროს წარმომადგენლების ურთიერთობის ამსახველი სცენები.



ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო თსუ-ს გამომცემლობის წიგნები. გამოფენა სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილ ბოლო წლების საინტერესო და მნიშვნელოვან გამოცემებს აერთიანებდა.



ბის წიგნები გავიდეს დიდ ბაზარზე და ხელმისაწვდომი გახდეს ფართო აუდიტორიისათვის. დღესდღეობით გამომცემლობაში ერთდროულად მიმდინარეობს მუშაობა 219 გამოცემაზე (აქედან უკვე დაიბეჭდა 64).

ფესტივალის ფარგლებში გამართულ პოეზიის საღამოზე სტუდენტებმა ნაიკითხეს თსუ-ს ლიტერატურულ ალმანახში „პირველ სხვიში“ გამოქვეყნებული სხვადასხვა თაობის ლექსები; თსუ-ს ბიბლიოთეკის რესტავრაციის განყოფილების თანამშრომლებმა გამართეს რარიტეტული წიგნების აღდგენის ვორკშოპი – ინტერაქტიული შეხვედრა წიგნის გაცოცხლების თემაზე. გაიმართა თვითნასწავლი მხატვრის – ავთანდილ (ნოდარ) რეხვიაშვილის პერსონალური გამოფენა. წარმოდგენილი იყო პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები. ასევე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტების მონაწილეობით გაიმართა ქართული საოპერო კონცერტი.

თბილისის უნივერსიტეტი 1927 წლიდან

მთავარი რედაქტორი  
ნინო კაკულია  
მთავარი სამცხალისტი  
მაია ტორაძე  
ტექნიკური რედაქტორი  
ირმა სულიაშვილი

შურნალისტები:  
თამარ დადიანი  
შურთხია ბეროშვილი  
ნინო ჩარკვიანი  
კონსულტანტები:  
ირმა ჯვალალოია  
მერაბ კოკოჩაშვილი

ფოტოკორესპონდენტი

გიზო ყუფარაძე

კომპ. უზრუნველყოფა

მიხეილ თვარაძე

რედაქციის წევრები:

მანანა შამილიშვილი,  
იაგო კაჭკაჭიშვილი,  
ირმა რატიანი,  
ირინე დარჩია,  
თინათინ ბოლქვაძე,  
ვლადიმერ პაპავა,  
ეთერ ხარაიშვილი,  
რევაზ გველესიანი,  
ეკატერინე ფირცხალავა,  
ნინო განჩილაძე,  
თემურ ნადარეიშვილი,  
ლელა ჯანაშვილი,  
მაია ივანიძე,  
მამუკა მარგველაშვილი,  
გია ლობჯანიძე,  
ნინო უგრეხელიძე

მისამართი:  
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11<sup>ა</sup>  
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)

☎ 577 52 77 73

ვებგვერდი:  
gazeti.tsu.ge

ელ.ფოსტა:  
nino.kakulia@tsu.ge



gazeti.tsu.ge

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ თვეში ერთხელ გადის სახით გამოცემა.

ახალი ყოველწლიური ჩვენს ვებ-გვერდს  
gazeti.tsu.ge

მოგვაცხადეთ ინფორმაცია გასაუქმებლად და გაეცხადეთ საუნივერსიტეტო სინსლაუსს